# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 მარტი, 2015 წელი.

№42 (7687)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## 21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!





## ბავშვისა და ქალის წივილ-კივილის ფონზე „აღებული“ ჩვენება

④

## დაუსრულებელ-გაპარტახებული შენობები თბილისში

③



## სერგეენკო ჯანდაცვის სფეროში ხარვეზებზე საუბრობს

⑤

## სააკაშვილი სენატს უკრაინისთვის რუსეთის წინააღმდეგ იარაღს სთხოვს

**საქართველოს ყოფილმა, დღეს ძებნილმა პრეზიდენტმა, უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა სენატს უკრაინის თავდაცვითი იარაღით მომარაგებისკენ მოუწოდა.**

„ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობის ქვეკომიტეტში სიტყვით გამოვიდა.

სენატის ქვეკომიტეტმა რუსეთის აგრესიაზე სასაუბროდ, ექს-პრეზიდენტთან ერთად, ცნობილ რუს ოპოზიციონერს, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს და ამერიკელ ექსპერტებს უმასპინძლა, მათ შორის იყო შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი უკრაინაში სტივენ პაიფერი და ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი. **„რუსული აგრესია აღმოსავლეთ ევროპაში: სად წავა რუსეთი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას შემდეგ?“** ამ კითხვის ქვეშ გაერთიანდა დისკუსია, რომლის სპიკერებმაც რუსეთის მზარდ აგრესიაზე, უკრაინის კონფლიქტზე და დასავლეთის როლზე ისაუბრეს.

სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა შეერთებულ შტატებს უკრაინის მხარდაჭერისკენ, მათ შორის, თავდაცვითი და ეკონომიკური დახმარებისკენ მოუწოდა.

**— ინტერესი ამ თემაზე გაიზარდა, წინა კვირაში მე მქონდა შეხვედრა ამერიკის სენატის და კონგრესის რამდენიმე ათეულ წევრთან. ეს ნიშნავს იმას, რომ ამერიკის პოლიტიკურ კლასში არის ცხოველი ინტერესი ამ თემის მიმართ და არის ჩამოყალიბებული აზრი, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს. ჩემი აზრით, უახლოეს კვირებში უნდა იქნას მიღებული ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება. უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის მიწოდება მხოლოდ სამხედრო გადაწყვეტილება არ არის, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება. ვფიქრობ, პოლიტიკური კლასი ამერიკაში ასე თუ ისე არის ჩამოყალიბებული, საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ეკუთვნის, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტიც უყურებს საზოგადოების და პოლიტიკური კლასის განწყობას,** — განაცხადა სააკაშვილმა.

## ირაკლი გედენიძის ცემის გამო გიორგი ბეგიაშვილი პარტიიდან გაირიცხება

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ივანე ბეგიაშვილი ძალადობით ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 4 მარტს, საღამოს, თბილისში, „ვარდების მოედანზე“ მიმდინარე აქციის დროს, „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ფოტოკორესპონდენტმა სხეულის დაზიანებები მიიღო და ასევე დაზიანდა მისი ფოტოაპარატი. დაკავებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო დაზარალებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრის გიორგი ბეგიაშვილის ვაჟი ივანე ბეგიაშვილი მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე დააკავეს.



* * *

გიორგი ბეგიაშვილი პარტია „თავისუფალი საქართველოდან“ გაირიცხება, — ამის შესახებ პარტიის ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა.

მისი თქმით, პარტიიდან ბეგიაშვილის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძის ცემის ფაქტს უკავშირდება, რისთვისაც გიორგი ბეგიაშვილის შვილი ივანე დააკავეს.

„პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება გიორგი ბეგიაშვილის გარიცხვის შესახებ. ჩვენ მას ავუხსენით, რომ რის წინააღმდეგაც პარტია იბრძვის 10 წელია და რასაც ჩვენ თვითონ ვგმობთ, იმას ვერ გავამართლებთ“, — განაცხადა კახა კუკავამ.

კუკავას თქმით, ფოტოგრაფის ცემის ფაქტზე, ივანე ბეგიაშვილი პოლიციას თვითონ ჩაბარდა და სიმართლეს არ შეესაბამება შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იგი საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად იქნა დაკავებული.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ხადურმა პრემიერისგან დავალება მიიღო



**ფინანსთა** მინისტრ ნოდარ ხადურის ინფორმაციით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარჯვა რეალურად დაწყებული არ არის, — ამის შესახებ ხადურმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის 2 თვის შესრულების შესახებ ანგარიში წარადგინა.

**„რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან რეალურად ხარჯვა არ არის დაწყებული მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანხები გამოყოფილი გვაქვს. უკვე 82 მილიონზე მეტია გამოყოფილი, მაგრამ ათვისება ჯერჯერობით არ არის“,** — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ არის ათვისება დაწყებული, რაზეც ფინანსთა მინისტრის პასუხი იყო, რომ როგორც ჩანს, აქ მექანიზმი ცოტა ბიუროკრატიულია. ხადურის თქმით, მომავალ კვირაში დაგეგმილია შეხვედრა საკრებულოების წარმომადგენლებთან და გამგებლებთან და ამ საკითხებს დეტალურად გავაანალიზებთ.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფინანსთა მინისტრს სთხოვა დეტალურად წარმოადგინოს ინფორმაცია, თუ რომელი რაიონები არ და ვერ ხარჯავენ თანხას.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მათ სურთ ეს პროცესი საჯარო გახადონ.

* * *

**მინისტრებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შეუსრულებელ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება მოუწევთ.**

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან ეკონომიკური ბლოკის მინისტრებისგან 2015 წლის ბიუჯეტის ორი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

**„მინისტრებს მოგიწოდებთ გააქტიურებისკენ კიდევ ერთხელ და შეგახსენებთ, რომ მოგიწევთ პასუხისმგებლობის აღება შეუსრულებელ სამუშაოებზე იმიტომ, რომ ჩვენ მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპებით უნდა შევასრულოთ ყველა დაწყებული პროექტი, რომელიც გაწერილია ბიუჯეტის მიხედვით. ასე რომ, ეს იქნება გამგებელი, თუ საკრებულოს თავმჯდომარე, ჩვენ აუცილებლად დავაყენებთ მისი პასუხისმგებლობის საკითხს. ეს გეხებათ თქვენ მინისტრებსაც, რომ მაქსიმალურად გააკონტროლოთ თქვენს სამინისტროებში მიმდინარე სამუშაოები და მათი განრიგი. ზოგადად, რაც მე მესმის ეს არის ის, რომ გამგებლებსა და არჩეულ მერებს გაუჩნდათ განცდა, რომ ისინი არიან ხელშეუხებლები. მინდა მათ ვუთხრა, რომ ძალიან ცდებიან იმიტომ, რომ მათ აიღეს პასუხისმგებლობა ჩვენი პოლიტიკური ძალის მიმართ და ხალხის მიმართ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ვერავინ გაექცევა პასუხისმგებლობას, თუ ისინი არაეფექტურები არიან და დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებენ.

* * *

**სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, საგადასახადო შეღავათებით მხოლოდ იმ პირობით ისარგებლებენ, თუ მშენებლობას განაახლებენ და 2018 წლამდე დაასრულებენ.**

ფინანსთა მინისტრმა ხადურმა მთავრობის წევრებს ამ მიმართულებით საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტიც წარუდგინა.

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჩვენ ვაპირებთ შეღავათი გავუკეთოთ იმ სამშენებლო ობიექტებს, რომელთა მშენებლობა ომამდე დაიწყო. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროსთან, განსაკუთრებით თბილისის მერიასთან, ასევე მენაშენეთა ასოციაციასთან და უკვე წარმოვადგინეთ კანონპროექტი, რომელიც უნდა გადავაგზავნოთ საქართველოს პარლამენტში. საქმე ეხება იმას, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს უფლება მიეცეს საგადასახადო შეთანხმება გაავრცელოს არა მხოლოდ მთლიან თანხაზე, არამედ მის ნაწილზე. საუბარია ერთ კონკრეტულ გადასახადზე — დამატებითი ღირებულების გადასახადზე და იმაზე, რომ დღგ-ში საგადასახადო შეთანხმება, ანუ რეალურად პატიება ამ გადასახადის განხორციელდეს პირობით, რომ ისინი დაიწყებენ მშენებლობას და 3 წლის განმავლობაში, 2018 წლამდე დაასრულებენ მშენებლობას. ამ პირობით ვთავაზობთ ჩვენ, რომ დღგ-სგან გათავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, რომელსაც ისინი განახორციელებენ“,** — განაცხადა ხადურმა.

* * *

**ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო უწყებებისა და მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან ხარჯების შემცირების შესახებ ინფორმაციას არაუგვიანეს 16 მარტამდე ელოდება.**

მთავრობის შესაბამისი განკარგულების შესახებ მინისტრთა კაბინეტის დღევანდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ისაუბრა.

ამასთან, მან რეკომენდაციებიც წარმოადგინა, რა ნაწილშიც ურჩევს მთავრობა სახელმწიფო სტრუქტურებს ხარჯების შემცირებას.

**„ნებისმიერ შემთხვევაში შემცირება არ შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ ხარჯებს. ჩვენ რეკომენდაციით შემოვდივართ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში მინიმუმამდე დავიყვანოთ ადმინისტრაციული შენობების რემონტის ხარჯი, არ შევიძინოთ რბილი ავეჯი, მაქსიმალურად შევზღუდოთ ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, გარდა სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებისა. დაახლოებით 30 პროცენტით შევამციროთ საწვავის ხარჯი, რაც, რა თქმა უნდა, არ შეეხება ოპერატიულ მანქანებს. ამავე დროს ჩვენ გთავაზობთ, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მივლინებები, 20 პროცენტით შემცირდეს ე.წ. წარმომადგენლობითი ხარჯები და ამავე დროს სასწავლო შვებულებები გამოვიყენოთ მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში“,** — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ამასთან, ფინანსთა მინისტრის თქმით, მთავრობა სთხოვს პარლამენტს, სასამართლოს და ყველა იმ სტრუქტურას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არ იმყოფება, თავადაც ანალოგიური შეზღუდვები დააწესონ.

# ორი პრეზიდენტის შეხვედრა



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული ალიანსის პრეზიდენტს სერ გრემ უოტსონის შეხვდა.**

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, შეხვედრისას მხარეებმა იმსჯელეს სხვადასხვა პარტიათა შორის თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისათვის.

მათივე ინფორმაციით, გრემ უოტსონმა საუბრისას აღნიშნა, რომ იზიარებს პრეზიდენტის შეხედულებას არსებული რეალობის შესახებ და პარტიათა შორის თანამშრომლობა უფრო უნდა გაძლიერდეს.

შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობა. მხარეებმა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოზეც იმსჯელეს.

**◉ პატიმარი ყურადღებას ითხოვს!**

# იძულებული ვარ, შიმშილობა გამოვაცხადო

**2014 წლის 23 აგვისტოს პოლიციის ვაკის რაიონის მე-2 ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა, ხანგრძლივი თვალთვალის შემდეგ, ნასვამი დამაპატიმრეს ჩემი სახლიდან გამოსული. დაპატიმრებისას მოწმეების გარეშე ჩამსვეს ავტომობილში და მიმიყვანეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოში, მშენებარე მეტროსთან. ერთ-ერთმა პოლიციელმა გამოიძახა მილიციის უფროსი შოთაძე, რომელთანაც ადრე კონფლიქტი მქონდა, კერძოდ, შოთაძე აგვისტოში შემხვდა კაფეში, სადაც მე და ჩემი მეგობარი შევედით სასადილოდ! შოთაძე და მისი თანმხლები პირი ისხდნენ ჩვენს გვერდით მაგიდასთან. მე ჩემს მეგობარს ვუთხარი, რომ იგი იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი, რომ ჩემთვის გაუგებარი იყო მისი პოლიციის უფროსად დანიშვნა და მოვიხსენიე უწმაწური სიტყვებით, რაც მას არ გამოეპარვია, რადგან სიძულვილით გამომხედა. ისინი მალევე წავიდნენ და იქ არაფერი მომხდარა. მეტროსთან კი გამოიჩინა „ძლევამოსილება“ და პოლიციელებს უბრძანა, გადმოვეყვანე მანქანიდან და გავეჩხრიკე. პოლიციელებმა შემომარტყეს წრე და დამიწყეს ჯიბეებში ხელების ჩაყოფა. ერთ-ერთმა უკანა ჯიბეში ჩამიყო ხელი და თავისივე ჩადებული რაღაც პაკეტი ამოიღო, რომელშიც შემდგომ აღმოჩნდა ნარკოტიკი. შოთაძემ დაუძახა იქვე ახლოს მდგომი ტაქსის მძღოლს, მოწმედ დასწრებოდა ჩხრეკას, მაგრამ მან დაინახა, რომ რაღაც უკეთურობა ხდებოდა, დაქოქა მანქანა და იქაურობას მოშორდა. შოთაძეს ვთხოვე, ნარკოტიკს ნუ ამკიდებ, მოხუცი მშობლები და ორი პატარა შვილი მყავს-მეთქი, მაგრამ მან უბრძანა პოლიციელებს, განყოფილებაში წავეყვანე.**

**პოლიციაშიც ვითხოვე მასთან შეხვედრა, მაგრამ უარი მივიღე. ასევე ერთ-ერთ თანამშრომელს ვთხოვე, რომ მაღაზიიდან მოეტანა ჩემთვის ლუდი, მათ მომიტანეს ლუდი გახსნილი ბოთლით. მე დავლიე ნახევარი და დანარჩენი იქვე მდგომ ნაგვის ურნაში ჩავაგდე, რადგან მაძალებდნენ დროულად დამელია. მაშინ გამიჩნდა ეჭვი, რამეს ხომ არ მიწყობენ-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე საათის შემდეგ წამიყვანეს ნარკოლოგიურ დისპანსერში, სადაც დაადასტურეს ჩემი ნარკოტიკის ზემოქმედება. მათ გადამიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში.**

**უკვე ექვს თვეზე მეტია, რაც ვიმყოფები პატიმრობაში, ჩამიტარდა რამდენიმე სასამართლო პროცესი და ბოლო სასამართლო სხდომაზე მომისაჯეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლეს, რა თქმა უნდა, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და აგრეთვე მოვითხოვე მოწმეების დაკითხვა, მაგრამ არ მომისმინა.**

**თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. არ ვაღიარებ ჩემს მიმართ შეთითხნილ ბრალდებას. არც ერთ ჩემს მოწმეს არ იძახებენ და ჩემს მიერ მითითებულ დარღვევაზე რეაგირება არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ მივმართე სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტებს, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს, გენერალურ პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს. იძულებული ვარ, სიმართლის მიღწევაში დახმარება ვთხოვო პრემიერ-მინისტრს, თუ არა და მივმართო პროტესტის უკიდურეს ზომას — შიმშილობას, თუ ჩემს განცხადებებს რეაგირება არ მოჰყვება.**

უკანონო პატიმარი
**დავით ციციშვილი.**
2015 წლის თებერვალი.

# აშშ მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას



**ამის** შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, როდესაც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ მომავალთან დაკავშირებით კონსულტაციების დაწყების თაობაზე ინფორმაციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა.

**„ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებით ასპარეზს ევროკავშირს დავუთმობდი, რომ მათ ისაუბრონ ამ თემაზე. ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ მაქსიმალურად დაუჭერს მხარს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წინსვლაში, ასევე ვიზა ლიბერალიზაციის საქმეში. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას“,** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ევროკომისარი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, ფედერიკა მოგერინი და ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, იოჰანეს ჰანი „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ მომავალთან დაკავშირებით კონსულტაციებს იწყებენ. ამის შესახებ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.



**„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ ბოლოს 2011 წელს გადაიხედა. მას შემდეგ ევროპის სამეზობლოში განვითარებული მოვლენების გამო, ახლა მნიშვნელოვანია იმ პრინციპების ფუნდამენტური გადახედვა, რომელსაც სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება“,** — წერია განცხადებაში.

**„ევროკავშირს აქვს არსებითი ინტერესი, ააგოს ძლიერი პარტნიორობა თავის მეზობლებთან. ბოლო მოვლენებმა რეგიონში გამოწვევები გაზარდა, რაც ჩვენ სახეზე გვაქვს: ეკონომიკური ზეწოლიდან დაწყებული, არარეგულარული მიგრაციით და უსაფრთხოების რისკებით დამთავრებული. ჩვენ გვჭირდება ძლიერი პოლიტიკა, რათა შევძლოთ ამ საკითხების მოგვარება. ჩვენ ასევე გვჭირდება უკეთ გავიგოთ ჩვენი პარტნიორების სხვადასხვა მისწრაფებები, ღირებულებები და ინტერესები“,** — განაცხადა პრესკონფერენციაზე ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ.

„ევროკავშირის ინტერესებში შედის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის განვითარება თავის საზღვრებთან. პოლიტიკის გადახედვა ჩვენ დაგვეხმარება ვიმუშაოთ უფრო ეფექტურად, რათა მივაღწიოთ მიზნებს“, — აღნიშნა ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა.

კითხვები ოლანდის განცხადებამ წარმოშვა

# დაიხურა თუ არა ნატოს კარი საქართველოსთვის?



**საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ გახმაურებულმა მიდგომამ, რომ ამ ეტაპზე უარი უნდა ეთქვათ ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოში. არის თუ არა ეს ნატოს მიერ ნათქვამი საბოლოო უარი? რა დგას ფრანსუა ოლანდის სიტყვების უკან? არის თუ არა ეს რუსეთისთვის ანგარიშის გაწევის მცდელობა და რა მოეთხოვება ამ შემთხვევაში საქართველოს?**

სიტყვები, რომლებმაც საქართველოს მსგავსად, თავსატეხი სხვა არაერთ ქვეყანას გაუჩინა, საფრანგეთის პრეზიდენტმა სამშაბათ საღამოს პარიზში, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან საუბრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, წარმოთქვა:

**„მინდა ხაზი გავუსვა, რომ, რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ნატოში გაწევრიანების სურვილი, ყველა ასეთი ქვეყნის განაცხადი უნდა იყოს უარყოფილი, რადგანაც, ჩვენი აზრით, ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“.**

იმ ფაქტმა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ეს სიტყვები ნატოს გენერალური მდივნის თანდასწრებით წარმოთქვა, გააჩინა დამატებითი შეკითხვა: ხომ არ არის ეს უკვე შეთანხმებული პოზიცია ალიანსის შიგნით და საბოლოოდ ხომ არ დაიხურა ალიანსის კარი?

ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს დამოუკიდებელ ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძეს, რომელიც, ფრანსუა ოლანდის სიტყვების კვალდაკვალ, ჯერჯერობით ვერ ხედავს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის იმ გადაწყვეტილების გაუქმების საფრთხეს, რომ საქართველო ერთ დღეს აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ექსპერტის დაკვირვებით, საფრანგეთის პრეზიდენტმა საკუთარი ქვეყნის პოზიცია გამოხატა: **„ჯერჯერობით ნატოს წევრი არც ერთი სხვა სახელმწიფოს ლიდერს არათუ მსგავსი, არამედ იმასთან მიახლოებული განცხადებაც კი არ გაუკეთებია, რომ ნატოს გაფართოება არ არის მიზანშეწონილი. აქედან გამომდინარე, ჩემი პირველადი შეფასებით, ეს რჩება საფრანგეთის პრეზიდენტის პირად დამოკიდებულებად ამ საკითხის მიმართ... თუმცა, ამ ფაქტის სათანადოდ არშეფასება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგანაც საფრანგეთი არის ალიანსის სერიოზული, წონიანი წევრი და, რა თქმა უნდა, მის აზრს ალიანსში ანგარიშს უწევენ“.**

იმოქმედებს თუ არა ფრანსუა ოლანდის განცხადება ნატოს გეგმებზე, ამას, ზაალ ანჯაფარიძის აზრით, ყველაზე უკეთ გამოამჟღავნებს დამოკიდებულება „არსებითი პაკეტის“ გეგმების მიმართ. კერძოდ, თუკი საფრანგეთის მსგავს პოზიციას სხვა ქვეყნებიც გამოავლენენ, შესაძლოა, შეყოვნდეს ნატოს საწვრთნელი ცენტრის საქართველოში ამოქმედების საკითხი, თუმცა, ექსპერტი მაინც ვარაუდობს, რომ ფრანსუა ოლანდის განცხადება არის, რუსეთის აგრესიის ფონზე, ევროპაში დღეს არსებული მზარდი და მეტად სახიფათო დაძაბულობის განსამუხტად, მოსკოვის გასაგონად გაკეთებული განცხადება, რომ თუკი ის შეწყვეტს აგრესიას უკრაინის მისამართით, შესაძლოა, ნატომ უარი თქვას შემდგომ გაფართოებაზე, თუმცა, ეს არ ნიშნავს ალიანსის უკანდახევას.

ფრანსუა ოლანდის სიტყვები რუსეთს რომ ესიამოვნებოდა, ეს ცხადია **შორენა ლორთქიფანიძისთვისაც**. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა აღნიშნა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, ეს შესაძლოა, იყოს ერთგვარი ტაქტიკური სვლა „დროის გაყვანის მიზნით“ და რომ ამ პროცესში საქართველოს ინტერესები არ დაზარალდება: **„არ ველოდები იმას, რომ რუსეთთან ვაჭრობაში საქართველო გაიცვლება... ეს ნაბიჯი, შესაძლოა, შეთანხმებული და დაკავშირებული იყოს უკრაინასთან, მინსკის მოლაპარაკებებთან... „მისტრალის“ მიყიდვასაც აპირებდა საფრანგეთი რუსეთისთვის, მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება უკან წაიღო“.**

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ფრანსუა ოლანდის განცხადება საქართველოს ხელის ჩაქნევის საფუძველს არ აძლევს და რომ ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ნატოში გასაწევრიანებლად აუცილებელი შესაბამისი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ექსპერტები ხელისუფლებას ურჩევენ, რომ ნატოში ინტეგრაციის საკითხზე გაასმაგებული ძალისხმევით იზრუნოს.

იმას, რომ ნატოში გაწევრიანების სურვილი რომელიმე კონკრეტული ხელისუფლების ახირება არ არის და ეს მთლიანად ქართველი ხალხის დროში გამოცდილი, ძლიერი გადაწყვეტილებაა, შეერთებულ შტატებში მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმაც** გაუსვა ხაზი. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში სტუმრობისას მან თქვა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტია და რომ სწორედ ამიტომ მიიწევს მისკენ რუსეთისგან მრავალგზის შევიწროებული, ოკუპირებული, მაგრამ მშვიდობისმოყვარე საქართველო: **„ნატო პრევენციის მექანიზმია და ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები იყვნენ, ყოველთვის საკუთარ თავს იცავდნენ და რუსეთსა თუ საბჭოთა კავშირს არ შეეძლო შეტევა განეხორციელებინა მათზე. ასე რომ, როდესაც ჩვენ გვინდა ნატოს წევრობა, ეს ნიშნავს ჩვენ ქვეყანაში ომის დასრულებას და არა ომის დაწყებას რუსეთთან“.**

**ლელა კუნჭულია,**
რადიო „თავისუფლება“

დედაქალაქი

# დაუსრულებელ-გაპარტახებული შენობები თბილისში

**დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ბევრი დაუსრულებელი და მიტოვებული შენობაა.**

**ერთ-ერთი მათგანი რუსთაველის გამზირზე მდებარე „იმელის“ უნიკალური შენობაა, რომელიც 1934-1938 წლებში აიგო. შენობის აბრევიატურა — „იმელ“ რუსული ენიდან მოდის და ნიშნავს „ინსტიტუტ მარქსა, ენგელსა, ლენინა“, შემდგომში მას სტალინის სახელიც მიემატა და „იმელს“ დაერქვა, მოგვიანებით სტალინი და ენგელსი ჩამოშორდა და უბრალოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი დარჩა. შემდეგ წლებში ასეთივე სიხშირით იცვლებოდნენ შენობის მფლობელები და მისი დანიშნულება. იყო პერიოდი, როდესაც ამ შენობაში საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო განთავსდა, ამავე შენობაში მუშაობისას საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია მიიღო.**



დღეს კი შენობა, რომლის ისტორიაც საკმაოდ მრავალფეროვანია, 2007 წლის შემდეგ უფუნქციოდ არის დარჩენილი. 2007 წელს „იმელი“ კულტურის მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოიღეს, რის მერეც კომპანია „კაპიტალ ინვესტზე“ გაიყიდა. პროექტი „იმელის“ შენობის მხოლოდ მთავარი ფასადის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. შენობის ნგრევა დაიწყეს, თუმცა, მშენებლობა არ დაწყებულა. სახურავგადახდილი, გაძარცული, ნახევრად დანგრეული შენობა 2008 წელს ახალი მფლობელის, „დაბი ჯგუფის“ ხელში გადავიდა. დღეს შენობის ფასადი მწვანე ბადეშია გახვეული და ზედ აბრა, წარწერით „ოცნებები სრულდება“, არის გამოკიდული.

bpn.ge ეკონომიკის სამინისტროს დაუკავშირდა, რათა გაგვეგო, რა ფასად გაიყიდა შენობა თავის დროზე და აქვს თუ არა სახელმწიფოს რამე ბერკეტი, რომ შენობის მფლობელ კომპანიას, ვალდებულებების შესრულება მოსთხოვოს. თუმცა, რამდენიმედღიანი ლოდინის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტროსგან პასუხი ჯერაც არ მიგვიღია.

კიდევ ერთი შენობა, რომლის ფუნქციაც ასევე გაურკვეველია, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროა. თავის დროზე ობიექტი GEORGIAN PROPERTY-მ იმ მიზნით იყიდა, რომ იქ სასტუმრო INTERCONTINENTAL-ი უნდა აეშენებინა. დღეს შენობის ფასადზე სიძველისგან გახუნებული და დაგლეჯილი მწვანე ბადე ჰკიდია, ტერიტორიაზე კი სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტროსგან ვერც აღნიშნული შენობის შესახებ მოვიპოვეთ ინფორმაცია.

დედაქალაქის ცენტრში კიდევ ერთი მიტოვებული მშენებლობა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზეა, სადაც მანამდე რესტორანი „არაგვი“ იყო და სადაც 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა აშენებულიყო. „პარკ ჰაიატ თბილისი“ ამ დრომდე არ აშენებულა, ტერიტორიამ მფლობელი რამდენჯერმე შეიცვალა, სასტუმროსთვის გაჭრილ საძირკველში წყალი ჩადგა და იქ ობიექტის აშენება შეუძლებელი გახდა. ამ ეტაპზე ტერიტორიაზე არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს, თუმცა, ჰყავს დაცვა, რომელმაც ადგილზე შესვლის უფლება არ მოგვცა. როგორც ეკონომიკის სამინისტროში გვითხრეს, ეს ტერიტორია თავის დროზე მერიამ გაასხვისა. ბუნებრივია, დავუკავშირდით დედაქალაქის მერიის პრესსამსახურს, სადაც განგვიცხადეს, რომ აღნიშნული ადგილი მერიის საკუთრებაში არასდროს ყოფილა. ამიტომ კვლავ ბუნდოვანი რჩება, რეალურად ვინ გაასხვისა ეს ტერიტორია და მოხდება თუ არა უახლოეს მომავალში იქ რაიმეს აშენება.

ასევე უცნობია, რა ბედის ელის პუშკინის ქუჩაზე აღმართულ რკინის კონსტრუქციას. თავისუფლების მოედანზე 2012 წელს დაწყებული პუშკინის ქუჩის რეაბილიტაცია ჯერაც არ დასრულებულა. რკინის კონსტრუქცია კი უფუნქციოდ არის დარჩენილი. ერთ-ერთი ვერსიით, აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიციის შენობის აგება იგეგმებოდა. თუმცა, ეს ვერსია ოფიციალურად არ დასტურდება.

**თეა ბითაძე**

მაინც, რატომ ყიდულობთ?

## თბილისის საკრებულომ 10 ათასზე მეტი ლარის დეკორატიული ნივთები შეიძინა

**2015 წლის 20 იანვრის ხელშეკრულებით, რომლის ღირებულება ჯამში 10 300 ლარია, თბილისის საკრებულომ საერთაშორისო კომპანია აისიარისგან შეისყიდა ისეთი ნივთები, როგორიცაა დეკორატიული საბეჭდი მანქანა, დეკორატიული ტელეფონი, დეკორატიული ალუმინის ნავი, ალუმინის ლანგარი, ალუმინის გლობუსი, ჭოგრიტის სადგამი, ალუმინის საოფისე ზარი, პუფი და სხვადასხვა ლარნაკები. ინფორმაციას ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, ამავე ხელშეკრულებით ასევე მოხდა ისეთი ფუნქციონალური ნივთების შესყიდვაც, როგორიცაა ტორშერი, კედლის საათები, ჭაღი, თუმცა, შეძენილი ნივთების უმეტესობა დეკორატიული დანიშნულებისაა.**

**როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აღნიშნავს, თბილისის საკრებულოსგან გამოითხოვა მისი შესყიდვების გეგმა 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 6 თებერვლამდე პერიოდისათვის.**

**„აღსანიშნავია, რომ საკრებულომ ჩვენთვის მოწოდებული გეგმიდან ეს შესყიდვა ამოიღო და მხოლოდ მესამე მოთხოვნის შემდეგ მოგვაწოდა სატენდერო განცხადების ნომერი. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს პასუხი აქვს გასაცემი იმაზე, თუ რატომ ყიდულობს გადასახადის გადამხდელების ფულით ძვირად ღირებულ დეკორატიულ ნივთებს“, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

## გამჟღავნებული გრიფით „საიდუმლო“

# ბავშვისა და ქალის წივილ-კივილის ფონზე „აღებული“ ჩვენება



## მაისაია ზუმბაძეს ამხელს

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილე ვალერი ზუმბაძე ამტკიცებს, რომ პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული ვახტანგ მაისაია „ტიპური ჯაშუშია“. სისხლის სამართლის საქმე, რომლის საფუძველზეც ზუმბაძე მაისაიას ჯაშუშობას ამტკიცებს, ამ დრომდე გრიფირებულია.**

**for.ge-სთვის ხელმისაწვდომი გახდა საქმის ის ნაწილი რომელიც „საიდუმლო“ გრიფის მატარებელია.**

(საიდუმლო დოკუმენტი, ტომი პირველი, გვერდი 109-110. 2009 წლის 7 მაისის 15/4/212-3338-ს) შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვალერი ზუმბაძემ, შსს-ს კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსის მოადგილეს მიხეილ ლომიძეს სთხოვა, გაერკვია: ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დაგეგმვის შესახებ და, აგრეთვე, ინფორმაციები ნატოს პროგრამების — „პარპის“ და „აიპაპის“ მიმდინარეობის შესახებ განეკუთვნებოდა თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებას, რაზეც ლომიძისგან ასეთი პასუხი მიიღო.

**„საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დაგეგმვის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციები „ნატოს“პროგრამების „პარპის“ და „აიპაპის“ მიმდინარეობის შესახებ, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის 4.2 (ცნობები უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, მათმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს) და 1.4 (ცნობები საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების შესახებ, მათი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს) პუნქტების თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას“.**

გაუგებარია რას ეფუძნებოდა ლომიძის პასუხი, ვინაიდან ნატოს დოკუმენტი — „2006 წლის პარტნიორობის მიზნების შემაჯამებელი რეპორტი“, რომელსაც ხელს აწერს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი, პირდაპირ წერია, რომ „საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დაგეგმვის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციები „ნატოს“პროგრამების „პარპის“ და „აიპაპის“ მიმდინარეობის შესახებ არ არის საიდუმლო დოკუმენტი. პარპი ის ძირითადი დოკუმენტია, რომლის მიხედვით დგინდება ინდივიდუალური პროექტები პარტნიორი ქვეყნებისათვის.

ამის მიუხედავად, განაჩენში ჩაიწერა, რომ მაისაიამ ნატოს საიდუმლო დოკუმენტი გადაუგზავნა სლოვაკეთის დაზვერვის ეგიდით მოქმედ სპეცსამსახურს.

**სასამართლო განაჩენის მიხედვით 2002 წლიდან ვახტანგ მაისაია საქართველოს ინტერესების საზიანოდ, საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების სხვაგვარი მონაცემებით და სხვა ინფორმაციით შეგროვების, შენახვისა და მათთვის გადაცემის მიზნით გადაიბირეს რუსეთის ფედერაციის სადეზვერვო სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც სლოვაკეთში მოქმედი ქალაქ ბრალტისლავაში მდებარე სავაჭრო ფარმაცევტული ფირმა „ნოვარტისის“ საფარქვეშ მოქმედებდა.**

ზუმბაძე ამტკიცებდა, რომ მაისაია არის ტიპური ჯაშუში, რომელმაც ძალიან დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს სახელმწიფოს. მეტიც, მისი თქმით, 2008 წლის ომში ვახტანგ მაისაიას მიუძღვის ძალიან ცუდი წვლილი.

**„მაისაია პირდაპირ გადასცემდა 2008 წლის 7-8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილის შესახებ ინფორმაციას წამლების კომპანია „ნოვარტისის“ წარმომადგენლებს. საზოგადოებამ განსაზღვროს, რაში სჭირდებოდა წამლების საერთაშორისო კომპანიას აღნიშნული მონაცემები. ეს დეტალი მინდა, საზოგადოებამ კარგად გაიგოს“,** — აცხადებს ვალერი ზუმბაძე.

ამ ყველაფერზე ვახტანგ მაისაიას შემდეგი პასუხი აქვს: **„თურმე, ნატოს საიდუმლო დოკუმენტი გადავეცი რომელიღაც სპეცსამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც სლოვაკეთის დაზვერვის ეგიდით მოქმედებდნენ. ანუ, არასაიდუმლო დოკუმენტი გააფორმეს, როგორც საიდუმლო დოკუმენტი და ამის გამო მომისაჯეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. დოკუმენტის გაყალბების გამო, ამჟამად, ვალერი ზუმბაძე დადანაშაულებულია ნატოს სამეკავშირეო ოფისის დისკრედიტაციის საქმეში“.**

ის, რომ სლოვაკეთის სპეცსამსახურების სისტემაში „სლოვაკეთის სამხედრო დაზვერვა“ არ არსებოს, ამას საქართველოს სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრიც ადასტურებს. სლოვაკეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეცსამსახურების ზუსტი დასახელებაა „თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახური“.

ვახტანგ მაისაიას ადვოკატი ნათია კორკოტაძე ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც 7 ტომს მოიცავს, არ არსებობს ერთი ფურცელი, რითაც დასტურდება, რომ ვახტანგ მაისაია არის ჯაშუში.

**„ვალერი ზუმბაძე აცხადებს, რომ შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი გადასცემდა საქმის მასალებს ვახტანგ მაისაიას, რომელიც თითქოს, გადასცემდა სლოვაკეთის დაზვერვას. მისი განცხადებით, უტიაშვილი მაისაიას მეკავშირე გამოდის. თუ ზუმბაძის ინტერვიუს დავეყრდნობით, გამოდის, რომ შოთა უტიაშვილიც ჯაშუშია. ჯაჭვი იწყება უტიაშვილით, გრძელდება მაისაიათი და მთავრდება სლოვაკეთით.**

ვალერი ზუმბაძე ამდენს იმიტომ ლაპარაკობს, რომ საქმის მასალებს „საიდუმლო“ გრიფი ადევს.

ვახტანგ მაისაიამ გამოუშვა წიგნი — **„კავკასია, კასპიისპირეთის გეოპოლიტიკა“, რომელიც ითარგმნა ინგლისურ ენაზე, ამ წიგნის მე-300 გვერდზე არსებული რუკა საქმეში ჩადეს როგორც „საიდუმლო“ გრიფის მატარებელი, მაშინ, როდესაც ეს წიგნი ჩვეულებრივად იყიდება. არაფრისგან შეკერეს საქმე და დაადეს გრიფი. ამის შემოქმედი არის ვალერი ზუმბაძე, რომელიც თავდაცვის სამინისტროში კი არა, ციხეში უნდა იჯდეს“,** — აცხადებს ნათია კორკოტაძე.

ადვოკატის განცხადებით, **მოდულის შენობაში 24-საათიანი დაკითხვის მიუხედავად, კონტრდაზვერვამ მაისაიასაგან სასურველი ჩვენება ვერ მიიღო. ამის შემდეგ ის ჩაიყვანეს ე.წ. კაპეზეში, სადაც მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა.**

ვახტანგ მაისაია: **„ჩამიყვანეს კაპეზეში, მომასმენინეს ბავშვის ტირილი. მითხრეს, აქ არის კობა ოთანაძის ძმისშვილი მისი პატარა ბავშვითო. მე ვიყავი მოდულის შენობის პირველ საკანში და მოპირდაპირე მხარეს, მესამე თუ მეოთხე საკნიდან ისმოდა ბაშვის განუწყვეტლივი ტირილი და ქალის გამწარებული კივილი.**

**ჩვენება, რომელიც წავიკითხე, ოთარ ორჯონიკიძემ საკუთარი ხელით დაწერა, ამ ფონზე მაიძულა წაკითხვა. მითხრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დედაშენს და შენს ცოლს მოვიყვანთ მოდულშიო. დედაშენს დავაპატიმრებთ პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, შენს მეუღლეს მოგისვამთ გვერდით თანამეინახედო.**

**ამ გზით მაიძულეს, რომ წამეკითხა ის, რაც დამიწერა ორჯონიკიძემ.**

**აღიარებითი ჩვენების დროს მათქმევინეს, რომ ვიყავი სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი. როცა ვამბობ რომელი ქვეყნის აგენტი ვარ, ამ დროს დამადეს ე.წ. „შუმოკი“. მე თუ ვამბობ, რომ რუსეთის დაზვერვის თანამშრომელი ვარ, მაშინ „შუმოკი“ რატომ დამადეს? მე არ ვამბობ რუსეთს, ვამბობ, რომ სლოვაკეთის სამხედრო დაზვერივის აგენტი ვარ და ამიტომ დამადეს „შუმოკი“. ასე მომაწერეს აგენტობა“.**

მაისაიას უკანონო პატიმრობა, ფიზიკური წამება და არადამიანური მოპყრობის ფაქტი, წარმოებაში მიიღო სტრასბურგის სასამართლომ და მიანიჭა კვალიფიკაცია. როგორც ნათია კორკოტაძე აცხადებს, სტრასბურგის სასამართლომ დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა, რომელიც ამ დღეებში გაიგზავნება.

მაისაიას ფიზიკური წამებისა და არადამიანური მოპყრობის ფაქტზე, თბილისის პროკურატურამ 2013 წლის 28 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმე აღძრა, საქმეზე გამოძიება დაიწყო. საქმეში მთავარ ფიგურანტად შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აწ უკვე ყოფილი უფროსი ვალერი ზუმბაძეა დასახელებული. საქმე ეხება ე.წ. მოდულის შენობაში და გლდანის მე-8 დაწესებულებაში ღამისეულ დაკითხვის ეპიზოდებს და წამებას.

ამ ორივე ეპიზოდში ვალერი ზუმბაძის გვარი ფიგურირებს. საქმეს გამომძიებელი ზურაბ სამხარაძე იძიებს. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მთავარ ფიგურანტად მაისაია ზუმბაძეს ასახელებს, ზუმბაძე გამოძიებას ამ დრომდე არ დაუკითხავს. თუ რა ეტაპზეა გამოძიება, ამის გასარკვევად for.ge დაუკავშირდა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნათია სუხიაშვილს, რომელიც დაგვპირდა, რომ საქმის ვითარებას გაარკვევდა და ჩაგვაყენებდა საქმის კურსში, თუმცა, როგორც წესი, სუხიაშვილისგან ინფორმაცია ვერ მივიღეთ. მან არც ჩვენს სატელეფონო ზარს უპასუხა. შესაბამისად, უცნობია, თუ რა ხდება ამ საქმის გარშემო.

**თამთა ქარჩავა**

## ვინ და როგორ გვემსახურება?

### გიორგი ბერეჟიანი:

# ყველა სტრუქტურა გაძეძგილია „საბოტაჟნიკი“ ნაციონალებით



**„საფუძვლიანი ეჭვი გამიჩნდა, რომ როგორც ყველგან, ისევე თქვენთან, ყველა თქვენი სტრუქტურა გაძეძგილია „საბოტაჟნიკი“ ნაციონალებით!“,** — ამის შესახებ ინჟინერი, მწერალი **გიორგი ბერეჟიანი** სოციალურ ქსელში წერს.

მის facebook-პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

**„ჩავაბარე! — მითხრეს, ხვალ მოგივათ მესიჯი! — არ მოვიდა! დავრეკე, მითხრეს, სათაური გამოცვალეო, სხვა ხარვეზი არ გაქვსო! — გამოვცვალე! ჩავაბარე, 5,5 ლარი გადავიხადე, პლუს გზის ფული. მესიჯი არ მოვიდა! დავრეკე, ხარვეზი გაქვთ მეექვსე პუნქტშიო, არ ჩანს კარგად თავმჯდომარის და გამგეობის არჩევის წესებიო! — გავასწორე, ჩავაბარე, გადავიხადე, არ დარეკეს, დავურეკე! კიდევ არის ხარვეზი, მეორე ნაწილის პირველშიო! მანამდე არ ჰქონდა? მე ოპერატორი ვარ, პატარა გოგო ვარ, რასაც ჩამძახებენ, იმას ამოვძახებო! დამაკავშირე იმ ფანტომთან, რომელიც ჩაგყვირის ხოლმე! არ შეიძლებაო! დღეს ისევ უნდა მივიდე, ისევ ფული გადავიხადო, ჩემთვის, ასლარიანი ინვალიდისათვის, 7,1 ლარი, ყველა მისვლაზე, პრობლემაა! პროფესორებს ვაჩვენე, ვერაფრით მიხვდნენ, რაშია ხარვეზი! — მე მივხვდი! სპეციალურად და მიზანმიმართულად მიდის ჩალიჩი, რომ მაქსიმალურად გამწარდეს ამომრჩეველი, არაფერი გამოუვათ, ყველამ ვიცით, ვისგან მოდის! რაც შეეხება იმათ, ვინც არ ასუფთავებს, ვინც დაძიძგა ღორისშვილებით და დაშანტაჟებული პედერასტებით სისტემა, იმათ ჯობია, გაამზადონ ჩემოდნები, თქვენც გეხებათ, ქალბატონო თეა წულუკიანო, ადეიშვილის კადრი რომ გიზით მოადგილედ!**

**დღეს უნდა მივიდე, ფული ვისესხე, თქვენ კი, მკითხველო, თუ გაიზიარებთ, კარგი იქნება, იქნება ნამუსის ძარღვი შეუტოკდეთ!**

**სხვათაშორის, ისიც მითხრა ქვევრმა, 20 დღეში გაუვა ვადა და დაკარგავთ იმ ფულებს, რაც შეიტანეთ და კიდევ რომ მოგიწევთ შეტანა, იმასაცო!**

**ვერაფრით მოვნიშნე, საინტერესოა, რატომ?“**

## ალიან-ჩალიანი

# დამატებითი ინვესტიციები ინფრასტრუქტურის მიმართულებით

**საქართველოს** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ფუნდამენტური პრობლემების მოგვარებისთვის, მთავრობა მიიჩნევს, რომ საჭირო იქნება დამატებითი ინვესტიციები ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ამით გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელ მარკ გრიფითსის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც გრიფითმა განაცხადა, რომ „ამ ეტაპზე დონორებისგან სესხებაზე საუბარი ჯერ ნაადრევი იქნება, რადგან ფუნდამენტური პრობლემებია დასაძლევი“.

„ეს არის ჩვენი დისკუსიის ნაწილი. ფუნდამენტური პრობლემების მოგვარებისთვის, მთავრობა მიიჩნევს, რომ საჭირო იქნება დამატებითი ინვესტიციები ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს ფული არ უნდა იქნას გამოყენებული მიმდინარე ხარჯების ნაწილში. ეს არის ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი საშუალება სხვა დანარჩენ საშუალებებთან ერთად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მაინც დაგვჭირდება ინფრასტრუქტურის პორტფელის გაზრდა. საბოლოო შეთანხმება ამ ნაწილში ჩვენ დღეს არ გვაქვს, მაგრამ სავალუტო ფონდის მისია დაბრუნდება ალბათ ორიოდე თვეში და დამატებით გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს ამასთან დაკავშირებით. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის, მაგრამ ეს არ იქნება ერთადერთი საშუალება“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესი**

№42. პარასკევი, 6 მარტი, 2015 წელი.

მცირე ბიზნესი

# სიცოცხლის სამსახურში...

## მაღალხარისხიანი სადიაგნოსტიკო აპარატურა და დაბალი ფასები



აფთიაქი „მირკო“ — პეკინის ქუჩაზე ბევრისთვის, ალბათ, ნაცნობია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ხშირად სჭირდება თანამედროვე სამედიცინო აპარატურის გამოყენება. მაგალითად, წნევის საზომი აპარატის, გლუკომეტრის, სიცხის საზომისა თუ სხვა. აფთიაქის უპირატესობა ისაა, რომ აქ უშუალოდ შვეიცარიული წარმოების „როშ-დიაგნოსტიკისა“ და „მიკროლაიფის“ აპარატებს გთავაზობენ, რომელიც ევროპულ ხარისხსა და სტანდარტებს აკმაყოფილებს. ისე რომ, მაღალი ხარისხის ფასებზე არ აისახება და ის ძალიან მისაღებია ქართველი მომხმარებლისთვის.

აფთიაქს ხელმძღვანელობს პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი **ომარ ლომსაძე**, რომელიც წლებია, ევროპელთა საიმედო პარტნიორია.

**— ბატონო ომარ, რამდენი წელიწადია, რაც შვეიცარიელებთან თანამშრომლობთ?**

— 1997 წლიდან. თავდაპირველად წამლები შემოვიტანეთ, მაგრამ მოგეხსენებათ, როგორი რთულია ბაზრის პრინციპებით თამაში, ამიტომაც „როშ-დიაგნოსტიკაზე“ გადავერთეთ. წლების განმავლობაში საზკვების ტრესტის მმართველად ვმუშაობდი, მაგრამ, დროება შეიცვალა, როცა ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დადგა, ექიმებმა რესტორნები გახსნეს, მე კი სამედიცინო სფეროში გადავერთე. დამფუძნებელი მე ვარ, ჩემს შვილებთან ერთად (ისინი პროფესიით ექიმები არიან). დღეს უკვე გვაქვს სასაწყობე ოფისი, ლაბორატორია, სულ 34 თანამშრომელია დასაქმებული.

**— ვინ არიან თქვენი პარტნიორები ან კონკურენტები?**

— კონკურენტი ჩვენს სფეროში არ გვყავს, რადგან „როშ-დიაგნოსტიკა“ და „მიკროლაიფი“ ერთ-ერთი უმაღლესი ხარისხის ფირმებია, რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ. ჩვენგან მიაქვს აპარატები ყველა დაინტერესებულ ფირმას, სტაციონარებს. მაგალითად, ჩვენი პარტნიორები არიან „ავერსი-ფარმა“, „პე-ეს-პე“, „ფარმადეპო“.

ყველა თანამშრომელი სპეციალისტია, გავლილი აქვს კურსები, აფთიაქში მოსულ პაციენტს კვალიფიციურ რჩევებს აძლევენ, ასწავლიან მოხმარების წესებს და სხვა. გვყავს ინჟინერთა ჯგუფი, რომლებიც ლაბორატორიაში ამოწმებენ აპარატურას, ჩვენი ევროპელი კოლეგები გვავალდებულებენ, რომ პროფესიონალი კადრები გვყავდნენ.

**— ვინაიდან ევროპულ ბაზარზე აქტიურობთ, ლარის დევალვაციამ ხომ არ იმოქმედა თქვენს ბიზნესზე, ან ხომ არ აისახა სავალუტო პრობლემები მომხმარებელზე?**

— თავიდან ნამდვილად შეგვეშინდა, მაგრამ კიდევ კარგი, ფასების დარეგულირება შევძელით. ჩვენთან ევროპული ხარისხის წნევის აპარატი 25 ლარი ღირს, ტესტ-ჩხირები — 50 თეთრი, რაც უკვირთ კიდეც ჩვენს კლიენტებს. რამდენს ეჭვის თვალით შემოუხედავს და უთქვამს, მე უმაღლესი ხარისხის მინდა და არა დაბალხარისხიანიო... ჰგონიათ, რომ რახან ფასია მისაღები, ხარისხი დაბალია...

**— ხელშეწყობა თუ გაქვთ ხელისუფლებისგან?**

— აბა, რა გითხრათ, ხელშეწყობა თუ არა, მთავარია, ხელი არ შემიშალონ. სიამაყით ვამბობ, რომ მართლაც არავის დავალიანება არა მაქვს: არც ბიუჯეტის, არც ევროპელი პარტნიორების. პირიქით, რამდენიმე დიდ სტაციონარს ჩვენი ვალი აქვს და სამწუხაროდ, ეს თანხები ათი ათასებს აჭარბებს.

ღმერთი ზემოდან იყურება, მაინც წარმატებებს ვაღწევთ და ჩვენი ბიზნესიც წინ მიდის.

**— წარმატებებს გისურვებთ!**

ესაუბრა,
**თეა მოსია.**

**სურათზე: აფთიაქის თანამშრომლები მარცხნიდან: ნინო შველიძე, ნატო სებისკვერაძე, სოფო ჩოხელი, ომარ მელაძე, აფთიაქის ხელმძღვანელ ომარ ლომსაძესთან ერთად.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ქალთა დღეები

# მეტი მდედრი პოლიტიკაში!

**მარტი ქალების თვეაო, ნათქვამია. ასეცაა: 3 მარტი — დედის დღე, 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე... ამიტომაც მთელი ეს თვე ქალები განსაკუთრებულ აქტივობებს გეგმავენ.**

ხვალ ვარდების მოედნიდან პარლამენტის შენობამდე მარში გაიმართება, სადაც უფლებადამცველები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და არასამთავრობოები პოლიტიკაში ქალთა სიმცირე-სიმწირეს გააპროტესტებენ და ამ თემაზე კვოტირების შემოღებას მოითხოვენ.



თამარ მეფის ქვეყანაში თანამედროვე ქალები არსებულ დისკრიმინაციას უჩივიან და სრულიად სამართლიანად გამოხატავენ გულისწყრომას იმის გამო, რომ ხელისუფლების ეშელონებში ძალიან ცოტა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მუშაობს. ამ დღესვე გაიმართება სერიოზული კონფერენცია, სადაც რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი ქალები მიიღებენ მონაწილეობას. აქაც წამყვანი თემა იქნება საჯარო სამსახურებში გენდერული ბალანსის მოთხოვნა.

**ცნობისთვის: პარლამენტში ქალები 12 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებში კიდევ უფრო ნაკლებს — 11 პროცენტს.**

„პოლიტიკა უკეთესი იქნება, თუ მასში უფრო მეტი ქალი ჩაერთვება“ — ამბობს ნინო დოლიძე, რომელიც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პროგრამის ოფიცერია. იგი მუშაობს პროექტზე „ქალთა გაძლიერება — უკეთესი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის“, — რომლის მიზანია საქართველოს რეგიონებში ქალთა როლის გაძლიერება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა და ადგილობრივი პრობლემების მოგვარება.

პროექტი საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში განხორციელდება: ხელვაჩაური, ჩოხატაური, აბაშა, ხარაგაული, დუშეთი, ახალციხე, თეთრიწყარო და ყვარელი. პროგრამაში ჩაერთვებიან ამ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ქალები, დაახლოებით 30-ზე მეტი. ტრენინგების პროცესში მათ ასწავლიან ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებას, პრობლემების მოგვარების გზების ძიებას, პროექტების საკრებულოში წარდგენას, შემდეგ მის ლობირებას და ადვოკატირებას.

პროექტი დეკემბერში დასრულდება. მიზანია — მიაჩვიონ ქალები აქტიურობას, ლიდერობას და ყველა იმ თვისების გამოვლენას, რაშიც საპირისპირო სქესის წარმომადგენლები რატომღაც პირველობას ჯიუტად არ თმობენ.

გენდერული ბალანსი რა სარგებელს მოუტანს პოლიტიკას, ვერ გეტყვით, თუმცა, ნავარაუდევია, რომ ომებით დაღლილ და მშფოთვარე მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქალები დაამშვიდებენ... ვინც ამ აზრს იზიარებთ, შეგიძლიათ, ხვალინდელ აქციას შეუერთდეთ!

**ნია ფიფია**

ალიან-ჩალიანი

## სერგეენკო ჯანდაცვის სფეროში ხარვეზებზე საუბრობს



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების მანქანის დაგვიანება ზოგჯერ 45 წუთიდან 1 საათამდე პერიოდს შეადგენს.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, ამ მიმართულებით არის სისტემური პრობლემა, რომლის გადაწყვეტის მიზნით ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა. აღნიშნულ გეგმას სამინისტრო „112“-ის წარმომადგენლებს გააცნობს. „ჩვენ დავასრულეთ სისტემური შესწავლა სასწრაფო დახმარების სისტემის მუშაობის. ყველა მიმართულებით იკვეთება გარკვეული ხარვეზები. რაც შეეხება თბილისის სასწრაფოს მუშაობას, ბოლო ხანებში დაგვიანების უარყოფითი დინამიკა სახეზეა. ჩვენ გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელსაც შევთავაზებთ შესაბამის უწყებას და მე ვფიქრობ, თუკი ეს გეგმა განხორციელდა, უახლოეს პერიოდში ვიგრძნობთ მკვეთრად დადებით შედეგებს“, — განაცხადა სერგეენკომ.

რაც შეეხება იმას, თუ რა მიმართულებით იკვეთება ხარვეზები, ჯანდაცვის მინისტრის თქმით, გამოძახების ადგილას მისვლის პერიოდი წარმოუდგენლად ხანგრძლივია და ძალიან ბევრი დრო იხარჯება. კერძოდ, 45 წუთიდან 1 საათამდე, მაშინ, როდესაც, პრიორიტეტულ გამოძახებებზე, მაგალითად ავტოსაგზაო შემთხვევების დროს პაციენტი 10 წუთში მანქანაში უნდა იყოს და საავადმყოფოში გადაჰყავდეთ.

## მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ გაიოზ თალაკვაძე დაინიშნა. თალაკვაძემ ამ პოსტზე დავით ლომიძე შეცვალა, რომელმაც თანამდებობა გასულ კვირას საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, იგი ძირითადად საფინანსო, იურიდიულ, დასაქმების, ტრეფიკინგის საკითხებს გაუწევს კურატორობას. თალაკვაძე აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობდა. როგორც გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, დებულებაში ცვლილება შევიდა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე შეითავსებს.

## სამინისტროს ხარჯებს დაახლოებით 70 000 ლარით შეამცირებენ

ჯანდაცვის სამინისტრომ საწვავის ლიმიტების, საოფისე და სამივლინებო ხარჯები შეამცირა, რამაც წინასწარი გათვლით წელიწადში უნდა შეადგინოს 50-დან 70 000 ლარამდე, — განაცხადა დავით სერგეენკომ. თუმცა, მინისტრის თქმით, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის და ის ვარაუდობს, რომ უახლოეს დღეებში ყველა სამინისტროს ექნება უკვე ერთიანი სამოქმედო გეგმა, სისტემური გადაწყვეტილება ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით.

## შემცირდება გადასახადები?

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, გადასახადების გაზრდას მთავრობა არ აპირებს. ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა სავალუტო ფონდის მისიის ერთ-ერთი რეკომენდაციის კომენტირებისას განაცხადა.

„გადასახადების გაზრდას არ ვაპირებთ, პირიქით, ძალიან სერიოზული განხილვა მიმდინარეობს გადასახადების შემცირების კუთხით. ამიტომ, ამ ნაწილში ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიბერალიზაცია გვჭირდება. რაც შეეხება ხარჯების შემცირებას, დიახ, ჩვენ ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ ხარჯების შემცირებაზე“, — განაცხადა კვირიკაშვილმა. რაც შეეხება ხარჯების შემცირების გეგმას, ვიცე-პრემიერის განცხადებით, გეგმა უახლოეს დღეებში იქნება. მისი თქმით, ძალიან მოცულობითი სამუშაოებია ჩასატარებელი.

## გრიპის ვირუსთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს



როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, წელს გრიპის ვირუსით გამოწვეული ავადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მშვიდია და ამ მხრივ, ქვეყანაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სტატისტიკა ცენტრის ვებ გვერდზეა განთავსებული, სრულ შესაბამისობაშია ყოველწლიურ სურათთან და არ აჭარბებს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს. მისივე ინფორმაციით, წელს საქართველოში, ძირითადად, B ტიპის გრიპის ვირუსი ცირკულირებს, რომელიც შედარებით კეთილსაიმედო მიმდინარეობით გამოირჩევა. წელს ლაბორატორიულად 153 B ტიპის ვირუსი და 3 A ტიპის ვირუსი გამოვლინდა. საბედნიეროდ, ლეტალურად არც ერთი შემთხვევა არ დასრულებულა.

ინტერპრესი

◉ როცა დუმილი ოქრო არ არის...

# „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკის დრო ამოწურულია,

**ანუ კარგა ხანია, დროულზე დროულია გავხსნათ კარტები და პირდაპირ ვთქვათ: ჰო ან არა!**

**პატივცემულო რედაქცია, თქვენი სანდო გაზეთის მკითხველ-დამფასებელმა სამტრედიელებმა, ბევრი ფიქრის და ბჭობის შემდეგ დავასკვენით, რომ მხატვრულ-დიპლომატიური გამოთქმა, დუმილი ოქროა, ჩვენს შემთხვევაში აბსოლუტურად ყავლგასული შეგონებაა! ეს ამ წერილის სათაურშივე დავადასტურეთ.**

ამ ფაქტის უეჭველი და ყოველმხრივი დასაბუთების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს ძველ-ახალი წლის გასაყარზე, საქართველოში ხელის თითებზე ჩამოსათვლელი, წონასრულ პოლიტოლოგთა კოჰორტის შესანიშნავი წარმომადგენლის, პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის მიერ გასული წლის დეკემბერში გამოქვეყნებული, აბსოლუტურად ყოვლისმომცველი და წყალგაურეველი წერილების მთელი სერია, რომელთა გაუთვალისწინებლობა ყოვლად წარმოუდგენელია. **„საქართველოს გამთლიანება – უპირველეს ყოვლისა“!** („სრ“ № 236.2014) და ორ ნაწილად გაყოფილი თუ ორნაწილიანი პუბლიკაცია **„ეს მოდელი ის მაქსიმუმია, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელია“** („სრ“ №244-45.2014).




ამ უაღრესად საყურადღებო და აშკარად წყალს არგასაყოლებელი პუბლიკაციების სათაურშივე ჩანს, რომ მათში გატარებული აზრი და წინადადება, ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ზღვაში ჩასაძირად განწირული გემიდან გადმოგდებული თავდაცული ბოთლივით სულ იტივტივებს და მართალია, არც ისე ცივი ზამთარი გვიდგას, მაგრამ, ფეხდაუსველებლად ხომ არ ჯობია რომ ვწვდეთ... რამეთუ ზომაზე მეტად ხმაურიანი ახალი წლის დღეების შემდეგ, საკმაო დრო გავიდა, მაგრამ, არსით ხმა, არსით ძახილი. არადა, ზღვის ნაპირიდან ჯერ კიდევ მოჩანს და მისი „დათრევა“ აბობოქრებულ ზღვაში შეუსვლელად ანკესის ჯოხითაც ჯერ კიდევ შეგვიძლია!

ასე ვფიქრობთ ჩვენი საყვარელი დედაქალაქიდან 250 კილომეტრით და საპარლამენტო ქუთაისიდან 28 კილომეტრით დაშორებული სამტრედიელები.

რასაც ხელმოწერით ვადასტურებთ და დიდი იმედია, ამ ჩვენს, წყალს არგასაყოლებელ გამოხმაურებას, პატივცემულო რედაქცია უყურადღებოდ არ დატოვებს და ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერის მკვიდრებს, აზრის გამოთქმის საშუალებას მისცემს...

ამით მოიგებს სრულიად საქართველო, ე. ი ჩვენ, ყველანი.

და ბოლოს, ჩვენ გავჩუმდებით და შემაჯამებელი სიტყვის წარმოსათქმელად ისევ „ტრიბუნას ვუთმობთ“ გამორჩეული ნიჭიერებით დაჯილდოებულ ბატონ ჯუმბერ კირვალიძეს: „უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებებს იმდენად მძიმე და გამოუსწორებელი შეცდომები აქვთ დაშვებული, რომ ეს მოდელი არის ის მაქსიმუმი, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელია!.. ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რადგანაც უკვე ყოველ გასულ თვეს აქვს მნიშვნელობა, არათუ წლებს, თორემ ყველაფერი დაგვიანდება!.. აღნიშნული კომპრომისული მოდელი იძლევა საშუალებას, რომ ერთდროულად – **აფხაზებისა და ოსების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ფედერალური სახელმწიფო გავამთლიანოთ, სუვერენიტეტი შევინარჩუნოთ, უსაფრთხოება გარანტირებული გვქონდეს და ევროპული, დემოკრატიული განვითარების შანსი არ დავკარგოთ!** ეს მოდელი თუ მისაღები აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის, მაშინ „კირვალიძის მოდელად“ არ უნდა დარჩეს, არამედ საქართველოს მთავრობის მოდელად უნდა გადაიქცეს, რათა მისი შეთავაზება საერთაშორისო გარანტიებისთვის დროულად განხორციელდეს და შეთანხმება შედგეს!..“

ამ აბზაცის წაკითხვის შემდეგ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია:

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!

**ისიდორე ჯანელიძე, ლუიზა ღვინიანიძე, მედიკო ზუბაევი, გულიკო ფუთურიძე, ვაჟა ტრაპაიძე, ბორის ფოცხვერაშვილი, ამირან ნიკოლეიშვილი, ჯონი ნადირაძე, რევაზ კანდელაკი, რომან გახოკიძე, შალვა ქაროსანიძე, თამაზ ალხაზაშვილი.**

**სამტრედია**

◉ ალიან-ჩალიანი

## შავ ზღვაში ნატოს სამხედრო ხომალდები გამოჩნდა



**შავ ზღვაში ნატოს ექვსი სამხედრო ხომალდი გამოჩნდა. ისინი ბულგარეთის, რუმინეთის და თურქეთის საზღვაო ძალებთან ერთად სამხედრო სწვალებას გადიან. ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.**

**წვრთნა ანტისაჰაერო და ნავსაწინააღმდეგო სამხედრო სწავლებას მოიცავს.**

**„შავ ზღვაში ჩვენს წევრებთან ერთად წვრთნა ჩვენ მოგვამზადებს იმისათვის, რათა შევასრულოთ ნატოს ნებისმიერი მისია, რაც კოლექტიური თავდაცვისთვის იქნება საჭირო“, – განაცხადა ამერიკელმა ადმირალმა, ბრედ უილიამსონმა. ალიანსის სამხედრო ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში თვის ბოლოს დაბრუნდებიან და გააგრძელებენ რეგიონში პატრულირებას.**

**ინტერპრესი**

◉ ქართლის ქირსა ვერვინ მოსთვლის...



## გადავარჩინოთ! გადავარჩინოთ!

**ამ დღეებში კიდევ ხუთასამდე რუსთაველი მეტალურგი დაითხოვეს კომბინატიდან.**

კიდევ ხუთასი ოჯახი დარჩა ულუკმაპუროდ.

კიდევ ხუთასამდე რუსთაველი შეემატა ქალაქის უმუშევართა არმიას.

კიდევ ხუთასი ადამიანის ქორწილი ჩაიშალა.

კიდევ ამდენი მომავალი ოჯახი არ შედგება.

ალბათ, ასობით ადამიანი შეეცდება უცხოეთში სამუშაოს მაძიებლად გადახვეწას.

და ეს იმ დროს, როდესაც ხელისუფლება ეძებს ლარის გამყარების გზებს.

ვერა და ვერ გაიგო დღევანდელმა მთავრობამ, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ქალაქის ფუძეთა ფუძეა. მისი მოშლით მოირღვევა ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭე.

უკვე მერამდენედ უნდა შევახსენო მთავრობას, რომ ყოველწლიურად 4 ათასი ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, ათასამდე სტუდენტი იღებს დიპლომს, მაგრამ თუნდაც ერთი მათგანი რომ დასაქმდეს, საამისოდ გზა არ არსებობს.

დიახ, თქვენ რომ აგინებთ იმ სტალინმა, იმ მრისხანე ომის ჟამს გააცოცხლა უდაბნო, აღაშენა ხელთუქმნელი ქალაქი, მეტალურგიასთან ერთად უამრავი საწარმოებით.

ანალოგიურს ვერ ვიტყვით, ალბათ, მესამედიც ვერ იქნება სუმგაითის მილების ქარხანა, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არათუ დააქცია, არამედ გააძლიერა, განამტკიცა, არადა, თავის დროზე ეს საწარმო რუსთაველმა პროფესიონალებმა აამუშავეს.

რა ვუყოთ, თუ ქვეყნის დამაქცევარმა ნაციონალებმა, ავყია და ლაჩარ მიშიკოს მეთაურობით გაყიდეს ქარხანა და ქალაქიც. იმ ნაციონალებს რომ არ ემსხვერპლათ ბატონი ბადრი პატარკაციშვილი (სასუფეველი იმ დიდ მამულიშვილს), ის რომ ცოცხალი ყოფილიყო ახალი ძალით აგუგუნდებოდა მეტალურგია საქართველოში.

რა ვუყოთ რომ ის ამჟამად კერძოა, ხელისუფლებას ხომ უნდა ჰქონდეს ბერკეტი გაჭირვების ჟამს შეეშველოს, ფეხზე დააყენოს რუსთავის მარჩენალი საწარმო.

უკვე მესამედ ვეხმიანები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ერთხელ მაინც ჩამობრძანდეს რუსთავში, შეკრიბოს პროფესიონალები, ჯერ კიდევ უნარიანი, შემოქმედი მეტალურგები, ქიმიკოსები, სხვა დარგის პროფესიონალები, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი.

არადა, რუსთავი დღესაც ქვეყნის მეორე ინდუსტრიული ცენტრია.

იმასაც ვახსენებდი, რომ საქართველოში ჩამოსული ყველა დიდი, უმაღლესი რანგის სტუმარი ჯავარჰარლალ ნერუ, ქალიშვილ ინდირა განდთან ერთად, ირანის შაჰი ფეჰლევი, ბროს ტიტო, თვით ლეონიდ ბრეჟნევი ორგზის იყო რუსთავში, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ისინი მოხიბლულნი რჩებოდნენ ევროპაში ერთადერთ ავტომატიზებულ-მექანიზებული მილსაგლინავი საამქროსი, მთლიანად ქარხნის, ქალაქის.

ეს კვირიკაშვილი ვინაა ეგეთი, რომ ერთხელაც ვერ დაინტერესდა აქაურობით.

ბატონო ბიძინა, ბატონო ირაკლი, რუსთავი იმ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს.

ჰოდა ქვეყნის გადარჩენა თუ გინდათ, სანამ მეტალურგია და ქალაქი არ დაქცეულა, მოგვხედეთ!

## დიდი აბრეშუმის გზა აშრიალებულა!

**ჩინეთიდან მატარებელი კი არა, ჩიტი რომ შემოფრენილიყო, ნაცმოძრაობა და მისი შერეკილი ლიდერი, არა მარტო თავის ამქარს, ქვეყანას ფეხზე დააყენებდა, ის კი არა იმ მატარებლის სახურავზე თვითონ შემოსკუპდებოდა, არ ეხერხება თუ, ჰოდა, შემოსძახებდა, აი ეს მე ჩამოვიყვანეო.**

მერე თავიანთი კერპები ამღერდებოდნენ, ნახეთ, მიშა მაგარიაო.

არადა, მე ჟურნალისტმა, ყოველ საჭირო ინფორმაციას მონადირესავით ჩასაფრებულმა, სადღაც ამოვკენკე, რომ ჩინეთის პირველი მატარებელი საქართველოში ჩამოსულა და ტვირთი ფოთის პორტში ჩაუტანია, თანაც დღეისათვის სარეკორდო დროში.

პოლიტოლოგები ამას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, მათ შორის რამაზ საყვარელიძე, რომელსაც დაეჯერება, ამას, ქვეყნისთვის არა თუ ეკონომიკური, უდიდესი სამშვიდობო მისიაც აკისრიაო.

ბევრი არა, მაგრამ მაინც რაღაც-რაღაცები სასიკეთო კეთდება, თუნდაც დემოგრაფიის თვალსაზრისით, მე თუ მკითხავთ, დედამიწაზე, ალბათ, ერთადერთი თვითმკვლელი ერი ვართ, მთლად მას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ სააკაშვილმა დიდად შეუწყო ხელი დემოგრაფიულ კატასტროფას. და აი, „ოცნების“ ხელისუფლებამ აქაც სასიკეთო ნაბიჯები გადადგა, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს სამშვილიან ოჯახებს მესამე შვილზე 150-150 ლარი, ხოლო რაჭველებს 200-200 ლარი დაუწესა ყოველთვიურად, ამასთან გაზარდა დეკრეტული შვებულება.

ეს, მე, როგორც გავიგე, მაგრამ ამის შესახებ სმენიათ კი რამე იმ რეგიონების მოსახლეობას?.. რა გჭირთ, ხალხო, ნაცებმა ასე როგორ დაგჯაბნეს, ხმის ამოღებისა რომ გეშინიათ?

## არიქა, ვიღუპებით!

**თბილისში თურმე ორი კინკილა რუსული სანიშნენომრიანი მანქანა გამოჩნდა.**

– რა ხდება, ხალხო, ქვეყანა იღუპება, დღევანდელმა მთავრობამ კურსი შეცვალა, – მეტისმეტად შევიწროებული თავისი საინფორმაციო ღრუდან რაც შეეძლო იწივლა გივი თარგამაძემ, ამ ნაჟურნალისტარმა ნაციონალმა, უკვე დაძველებულ-გაცვეთილმა პარლამენტარმა.

მანქანები მართლაც იყო რუსული, ოღონდ ნამანქანარს უფრო გავდა, საჯარისო ავტოკოლონიდან ჩამოწერილი, საჯართე რომ იყო, ბავშვიც კი მიხვდებოდა, მაგრამ...

რუსეთიდან ბუზი რომ შემოფრინდეს, ყვავად მოეჩვენებათ ნაცებს, მით უმეტეს გივი თარგამაძეს, ყველგან და ყველაფერში ნაცადს, გამოქექილს, მიშიკოს ავბედით აჩრდილს.

აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე ხომ აიწია, ლამის, რომ შეძლებოდა, ყბებს აიხევდა, წყალი არ გაუვა, მთავრობამ კურსი შეიცვალა, მალე რუსის ჯარს შემოიყვანენ, ევროპა-ამერიკას დავკარგავთო.

ის, რომ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპაში მაღალი დონის შეხვედრებს მართავს, დიდი სამომავლო სახელმწიფოებრივი საქმეები კეთდება, ამას გივისთან ერთად მისი თანაპარტიელებიც ვითომ ვერ ხვდებიან.

აი, აპატურაი ერთთავად ჩაგვჩიჩინებს, რუსეთს მოერიდეთ, თქვენ თუ არა, სხვამ ვინ უნდა უწყოდეს რა დაუნდობელი დათვია, აკი პუტინმა თვითონ აღიარა, დიდი ტაიგის დათვი ვარო, ვისაც მინდა იმას შევჭამო.

მარტო აპატურაი კი არა, ვინც ადამიანურად აზროვნებს, ვისაც მართლა არ ვემეტებით დათვის შესაჭმელად, ყველა ამას გვარიგებს, როგორმე მოერიდეთო რუსეთს, ისედაც წაგაცალათ რაც უნდოდათ, ერთიანად ნუ გადაეყლაპვინებითო.

**გივი ჯახუა,**

**რუსთავიდან**

# ფიქრები ლართან და ეკონომიკასთან დაკავშირებით

**ლარის გაუფასურება და რუსეთთან ურთიერთობა, ისეთი თემებია, წამდაუწუმ რომ ახსენებს თავს ქვეყნის მოსახლეობას, მაგრამ კრიზისულმა მდგომარეობამ (ორივე საკითხთან დაკავშირებით) კულმინაციას თებერვლის ბოლო დეკადაში მიაღწია. რა არ ითქვა იმ დღეებში საქართველოს მთავრობაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურ გუნდზე, ნაციონალებზე და ხელისუფლების „მამამძუძე" ბიძინა ივანიშვილზე. გამწარებული ხალხი თავის წუხილს რადიო-ტელესივრცეში გამოხატავდა.**

ხალხის რისხვა დღესაც გრძელდება და, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდება, ვინაიდან ის, რაც საქართველოს სჭირს, ძნელად განკურნებადია. არის ერთი გზა — ან უნდა შეეგუო სიტუაციას, ან იარაღი აისხა და კინწისკვრით გარეკო ხელისუფლება, რომელმაც ბევრი კეთილი დაპირების ნაცვლად, ის გვისახსოვრა, რასაც დაქცეული ეკონომიკა ჰქვია.

ხალხი იქადნება — არ დაგივიწყებთ ფეხებზე დაკიდებას და საპარლამენტო არჩევნებზე ისე მოგისვრით, პატრონმა რომ ვერ გიპოვოთო.

ქუჩაში იარაღასხმული გამოსვლა, უფრო გულის ფხანაა და მეტი არაფერი, ვინაიდან ხალხს არც ამის თავი აქვს და არც სურვილი. ხალხი ვადამდელ არჩევნებსაც მოითხოვს და ფიქრობს, რომ სწორედ ცხელ გულზე იქნება შესაძლებელი დღევანდელი ხელისუფლების გარეკვა, თუმცა, ის ასეთ კითხვასაც სვამს — გავრეკავთ, ანუ არ ავირჩევთ, მაგრამ ვინ ავირჩიოთ, ვის ვენდოთ, ვინ გადაარჩენს ქვეყანასო.

და როდესაც ამას ფიქრობს, წინ უდგება სააკაშვილის პორტრეტი, ირგვლივ შემოკრებილი „ნაცებით" და ყველა კრიმინალით, ვინც, ფაქტობრივად, მიიყვანა ქვეყანა კოლაფსამდე. ზოგი ისეა გამწარებული, სააკაშვილის ჩამოსვლაზეც ოცნებობს, რაც კარგად იცის მან და „ნაცებმა", ამიტომაც მეთოდურად, გონივრულად იყენებენ მედია-სივრცეს და საზოგადოებას ერთი წუთითაც არ აძლევენ მათგან დასვენების, მათი დავიწყების შანსს.

„ნაცები" და მათი ბელადი, „საოცნებო" ხელისუფლების ხელით აკეთებენ საქმეს, რაც უდავოდ წააქცევს ქვეყანას და „ნაციონალებს", როგორც ქვეყნის გადამრჩენებს, გზას გაუხსნის ხელისუფლებისკენ. „არა, ეს არ მოხდებაო", — აცხადებენ „ოცნებელები" და მათი მხარდამჭერნი.

ცდებიან ისინი, აშკარად ცდებიან. მსოფლიოს თანამედროვე ისტორიას ყოფილი მიუღებელი მმართველის ჩახუტების არაერთი მაგალითი აქვს. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჩვენი ისტორია. ე.წ.ეროვნულმა ხელისუფლებამ (ე.წ. იმიტომ ვხმარობ, რომ ყველა დანარჩენიც თავს ეროვნულად ასაღებდა, ახლა მოდით და თქვენ გაიგეთ, ვინ მეტი ეროვნული იყო და ვინ ნაკლები), რომელმაც თავი ვერ გაართვა ქვეყნის მართვას, გამოიწვია, 1985 წელს მოსკოვში დაწინაურებული ყოფილი მმართველის, შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნება. არადა, მოსკოვში წასვლამდე საქართველოს მოსახლეობაში საყოველთაო ნეგატიური განწყობა სუფევდა ამ პიროვნების მიმართ, ცხადია, არა ისეთი ნეგატიური, როგორიც სააკაშვილის მიმართ არის დღეს, მაგრამ ვინ იცის, რა სახის უსუსურობას გამოავლენს „საოცნებო" ხელისუფლება?

მაინც, რას ედავება ხალხი ხელისუფლებას, რატომ თვლის ის, რომ დამნაშავე ხელისუფლებაა და სხვა არავინ?

უპირველეს ყოვლისა, ედავება იმას, რომ დანაპირებს არ ასრულებს. დანაპირები კი უხვი იყო — სამართლიანობის აღდგენიდან დაწყებული, 200 ახალი საწარმოს გახსნით და ხალხის დასაქმებით დამთავრებული. დანაპირებში რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაც იყო. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი, რაც საამური ცხოვრების უცილობელ პირობებს შექმნიდა, მაგრამ ისე, როგორც ზღაპრული დანაპირები, ზღაპარივით დარჩა — ცხადია, ხალხისთვის და არა ხელისუფლებისთვის.

„ოცნების" ხელისუფლებამ ორწლიანი მართვის განმავლობაში, რაც გამოავლინა, არის მოჭარბებული პრინციპულობა საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. გასულ წელს 145 მილიონი ლარი დაიხარჯა ახალი ავტომანქანების შეძენში, წელს კი — რამდენიმე ათეული მილიონი ლარი ჩაერიცხა ფირმა „ტოიოტას" ახალი ავტომანქანების „ტოიოტა-ქამრის" შესაძენად.

ეკონომიკის მინისტრმა კვირიკაშვილმა ბრძანა: — „ეკონომიკის სამინისტროს შენობასაც გავყიდით, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების შენობებს და 300 მილიონ დოლარს შევიტანთ სახელმწიფო ბიუჯეტშიო". კეთილი, მაგრამ 180 მილიონს, რომ ხარჯავ სამსახურებრივ ტრანსპორტში?

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ტყემალაძემ, პარლამენტარ ტყემალაძის ვაჟმა, იმდენი ტონა ბენზინი დახარჯა, მთელი საკრებულო და მერია ერთად აღებული რომ ხარჯავს, თუმცა, ვინ იცის რამდენს ხარჯავენ ესენი? ვგონებ არანაკლებს, ვიდრე უმცროსი ტყემალაძე. სამინისტროში ყავის და ტუალეტის ქაღალდის შეძენისთვის დახარჯული ფულის შესახებ ხომ ანეკდოტები დადის.

ახლა ავიღოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში სისტემატური მივლინებები — იქ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრება, „ლიმუზინებით" გადაადგილება, თვითმფრინავის ბიზნეს-კლასით მოგზაურობა, მასპინძლების რესტორნებში გამასპინძლება და საჩუქრების მირთმევა. მავანი „ოცნებელი" იტყვის — აბა, როგორ გინდათ, საქმეს სჭირდებაო. მაგრამ საქმე რომ არ ჩანს?

არც ერთი ქვეყნის, თუნდაც ისეთი მდიდრის, როგორიც გერმანიაა, პარლამენტარი ან მთავრობის წევრი თავს უფლებას არ მისცემს (არც კანონი აძლევს ამის შესაძლებლობას) დაოთხილი ირბინოს უცხოეთში. გერმანიის ბუნდესტაგში სტაჟირებისას მითხრეს, რომ ბუნდესტაგის წევრი საშუალოდ მხოლოდ 2-ჯერ თუ გაემგზავრება უცხოურ მივლინებაში მთელი მოწვევის განმავლობაში.

რაც შეეხება პერსონალური ავტომანქანით სარგებლობას — მსგავსის უფლება აქვთ მხოლოდ ბუნდესტაგის თავმჯდომარეს, პირველ მოადგილეს და აპარატის უფროსს, დანარჩენი მოადგილეები, ფრაქციებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები სარგებლობენ გამოძახებით, მხოლოდ ბერლინის ფარგლებში, თანაც წერილობითი მიმართვის შემდეგ, სადაც დასაბუთებული უნდა იყოს — რა საქმისთვის სჭირდება დეპუტატს ავტომანქანა. რაც შეეხება ბერლინის ფარგლებს გარეთ გამგზავრებას - ჩვეულებრივი ტრანსპორტი და მისი ჯანი.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, ერთხელ, ისრაელის საელჩოს დიპლომატმა მომმართა რჩევისთვის, როგორ გამგზავრებულიყო ბათუმში. ვურჩიე — ავტომანქანით-მეთქი. „ძვირიაო", — მითხრა და მატარებელი აირჩია. ისრაელის დიპლომატი ბათუმში მივლინებით მიდიოდა.

მკითხველმა კარგად იცის, რომ ისრაელის ეკონომიკური მდგომარეობა ათასჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოსი. ფულის დაზოგვა, რაც აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს ისეთი გავერანებულის, როგორიც ჩვენია, აუცილებელია, დაწყებული მოხელეთა ხელფასებით, სატელეფონო ხარჯებით, ტრანსპორტით და საზღვარგარეთის მივლინებების შეზღუდვით დამთავრებული. საქართველო ის ქვეყანა არ არის, რომლის სახელმწიფო მოხელემ, არაბული საამიროების შეიხივით იმოგზაუროს უცხოეთში.

1990 წლიდან იწყება საქართველოს ახალი საპარლამენტო ცხოვრება. პირველმა პარლამენტმა, 1991 წლის დეკემბრის ომამდე გაძლო. მოკლე იყო 1992 წლის შემოდგომით არჩეული პარლამენტის მუშაობაც — 1995 წლის შემოდგომამდე. დანარჩენი ორი მოწვევაც დიდი უკმაყოფილებით წარიმართა, რაც შემდეგ მოწვევებსაც გადაედოთ.



თუ სალი თვალით შევხედავთ ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობას, დავინახავთ, რომ მეტ-ნაკლებად წარმატებულად 2 წელიწადის განმავლობაში მუშაობს, მაგრამ აქაც არის გამონაკლისი „ოცნების" პარლამენტის სახით. 2 წლის შემდეგ გაისმის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თემა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ძალით შეკოწიწებული საპარლამენტო 4-წლიანი ვადის 2.5 წლამდე დაყვანა. ამით მკვეთრად შეიცვლება ამომრჩევლის დამოკიდებულება არჩეულისადმი (ორწელიწადნახევარს როგორმე გაძლებს), თვით პარლამენტის მიდგომა საქმისადმი.

ახლა კი გადავიდეთ თემაზე, რაც ჩვენი ეკონომიკის ჩავარდნის საფუძველია და რის შესახებაც ლაპარაკი ერიდებათ. საქართველო მაშინ იყო მწარმოებელი ქვეყანა, როდესაც არსებობდა ცენტრალიზებული სისტემა და მკაცრი კონტროლი. საქართველო საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, რაც თავისთავად გამორიცხავს ცენტრალიზებულ, გეგმურ, ვერტიკალურ მმართველობას, მაგრამ არ გამორიცხავს სახელმწიფო კონტროლს, მათ შორის, ბიზნესზეც.

დღეს ეს კონტროლი აღარ არსებობს. ქვეყანაში არ ფუნქციონირებს თუნდაც ასანთის ან ტუალეტის ქაღალდის მწარმოებელი საწარმო. ქვეყანას ყველაფერი შემოაქვს და მათ შორის ისეთიც კი, მწვანილი რომ ჰქვია. ბაზარში, წლის ნებისმიერ დროს, ნახავთ სომხურ ტარხუნას, ქართულის ჭაჭანება არ არის. ავიღოთ ხილი — ძირითადად იმპორტული, თანაც კილოგრამი 5-6 ლარი.

23 დამოუკიდებელი წელიწადის განმავლობაში, მრეწველობა-სოფლის მეურნეობაგანვითარებული ქვეყანა, თანაც 76 დასახელების ნაწარმის, მათ შორის მძიმე მრეწველობის ექსპორტიორი, იმპორტიორად გადაიქცა, ანუ ჭამის და მონელების ქვეყნად. ვინ გვაქცია ასეთად? — ჩვენმა „საყვარელმა" დასავლეთმა, უპირველესად აშშ-მა.

რატომ? — იმიტომ, რომ საქართველოს წარსული ეკონომიკური წარმატებების შესახებ მას არაფერი სმენია, ისე, როგორც ისტორიისა და კულტურის, ცხოვრების წესის შესახებ. გარდა ამისა, აშშ ის ქვეყანაა, რომელსაც სხვისი წარსული, თუნდაც დიდი ისტორიის შემცველი, ფეხებზე ჰკიდია. ის პრაგმატული მოაზროვნეა, დღევანდელ დღეზე და ხვალინდელზეა მომართული. ამასთან ერთად, მას არ აინტერესებს საქართველოს არც ინდუსტრიალიზაცია და არც აგრარული წინსვლა. ერთი რამ, რაც მას აინტერესებს, ტურიზმია და ისიც მცირე დოზით.

საქართველოს ტურიზმის მექად გადაქცევის იდეა ხალხს სააკაშვილის ტვინის ნაყოფი ჰგონია, არადა, აშშ-ის ზოგიერთი მოხელის გამოგონებაა. მავანი შემედავება — აშშ-მა მილიონობით ფული დახარჯა საქართველოშიო.

დახარჯა, მაგრამ რაში? — ე.წ. დემოკრატიის განვითარებაში, სასამართლო სისტემის „დახვეწაში", არასამთავრობო ორგანიზაციებში, სხვადასხვა სახის ტრენინგებში, მაგრამ არა ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოებში. გამონაკლისი ლუგარის ბიოლოგიური ცენტრია — ერთობ საეჭვო დანიშნულების.

არც საქართველოს ხელისუფლებას გასჩენია მსგავსი აღმშენებლობის სურვილი. არადა, ქვეყნის ეკონომიკა მარტო იმპორტზე ვერ იქნება. არც ამერიკელი, ევროპელი ინვესტორი ჩანს. ვინც ჩანს, არის თურქი, რუსი, ირანელი. ამ უკანასკნელს საქართველოს ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში ჩასადები გეგმაც და ფულიც დავახვევინეთ და ლამის უკან შევტენეთ.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც ჰქონდა მას — 4-5 მილიარდევროიანი. „კარგიაო", — თქვა „საოცნებო" ხელისუფლებამ და არც არაფერი, ისე გაყუჩდა, თითქოს ირანს ოფიციალურად არ წარედგინა ბიზნეს-პროექტები. ნაცვლად ამისა, ირანს სავიზო რეჟიმიც დაუწესა, საბანკო ოპერაციებიც აუკრძალა და ისეთ დღეში ჩააგდო, მტრულად მოსულსაც რომ არ ეკადრება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარის გაუფასურებას ეკონომიკის არარსებობას და ტურიზმის შემცირებას აბრალებს. არადა, ხელისუფლებამ ხომ თვით გამოიჭრა ყელი — ირან-ერაყის ტურისტებისთვის სავიზო მკაცრი რეჟიმის დაწესებით?!

თითქმის ერთი თვე გავიდა უსუფაშვილის ირანში ვიზიტიდან, სადაც ის დაჰპირდა მასპინძლებს ირანთან უვიზო მიმოსვლას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. არადა, რა დიდი პრობლემაა მიღებული კანონის ჩასწორება? არც არფერი, მაგრამ, როდესაც არც ნებაა და არც სურვილი, ისეთი მარტივი საქმე, როგორიც კანონში შესწორებაა, პრობლემა ხდება.

მავანი მეტყვის, არც ისე მარტივია ამ კანონის ჩასწორებაო. მართალია მავანი და აი, რატომ: როდესაც დამოკიდებული ხარ სხვაზე, უპირველესად, დასავლეთზე და გეშინია, რომ ჩასწორებისთვის არ დაგტუქსონ, ვერაფერს მიაღწევ.

საქართველოს მოჭარბებულად „სუვერენულ" ხელისუფლებას, აშშ-ის შიშით, არ შეუძლია კანონის შეცვლა, ისე, როგორც არ შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. და რადგან არ შეუძლია, რაღაც საფრთხეებზე უნდა ილაპარაკოს. არადა, არავითარი საფრთხეები არ იქნებოდა და იქნება, საქართველოს ხელისუფლება რომ გონივრულად მოქცეულიყო ან იქცეოდეს. ერთი ვაიუშველებელი ატყდა, აბაშიძემ როგორ თქვა — ნატოში ჯერჯერობით არ გვიღებენ და აფხაზებთან და ოსებთან დავიწყოთ ლაპარაკიო. ყველა ერთხმად გაჰკიოდა — საქართველო ასცდა პროდასავლურ კურსს და რუსეთისკენ შებრუნდაო.

კეთილი, მაგრამ თუ ეს მართლაც მოხდა, ან მომავალში მოხდება, რა არის ამაში თმებდასაგლეჯი? ქვეყანამ დაინახა, რომ გზა, რომელსაც ის მიჰყვება, არ გამოდგა და იფიქრა, ნაცად გზაზე დაბრუნება, თანაც სხვა ამპლუაში და არა ისეთში, როგორშიც საქართველო საბჭოთა კავშირის დროს იყო.

რით არის საქართველო მეტი ან წარმატებული ეგვიპტეზე, ისრაელზე, თურქეთზე, სხვა ქვეყნებზე, რომლებიც ცდილობენ საბაჟო კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას?

რით არის საქართველო აღმატებული დსთ-ს წევრ სახელმწიფოებზე, რომლებიც მოსკოვთან მჭიდრო ურთიერთობებს ინარჩუნებენ, პარალელურად დასავლეთთან ურთიერთობენ?

რით არის გამოწვეული რუსეთის მიმართ ავადმყოფური შიში — ჩაგვყლაპავსო? უცოდინრობით, თანამედროვე საერთაშორისო საკითხებში გაუთვითცნობიერებლობით.

მავანი უმალ მომახლის 2008 წლის ცხინვალის ომს და ოკუპაციას, უკრაინის ამბებს, რაზეც მივუგებ — ცხინვალის ომი და უკრაინის მოვლენები სწორედაც რომ დასავლეთისადმი მონური დამოკიდებულების ნაყოფია და კიდევ იმის, რასაც ქვეყნის მმართველის მზაკვრობა ჰქვია.

თუ დსთ-ს წევრ არც ერთ ქვეყანას რუსეთის არ ეშინია, რამ შეგვაშინა ისტორიულად ამაყი და მედგარი ქართველობა?!

არადა, ჩვენი ხსნა ნამდვილად რომ არ არის ცისფრად შეფერილ ევროკავშირში (იქაც ვინ გვიღებს), ფაქტია. ბაზარგაჯერებულ ევროპას არც ჩვენი ღვინო უნდა და არც „ბორჯომი". მას, რაც უნდა მიიღო — რუსეთის წინააღმდეგ მტკიცე პლაცდარმის შექმნა და ჩვენი ხელით ანტირუსული საქმის კეთება, ისევე, როგორც უკრაინელის ხელით.

საქართველო მზადაა ნატოს სასწავლო ცენტრისთვის და ამით ჰგონია რუსეთისგან თავს დაიცავს, ანუ აშშ-ნატოსთან კავშირით, რუსს გადააფიქრებინებს აგრესიას, იქნებ პირიქით? არ არის დასავლეთი ამ საქმეში სანდო, ისე, როგორც მოძლიერებულ ექსტრემისტულ ისლამიზმისგან საქართველოს დასაცავად. ერთადერთი, ვინც ამ გამოწვევაში დაგვიდგება — რუსეთია.

რუსეთს უხიფათო სამხრეთის საზღვრები აინტერესებს და არა საქართველოს გაცისფერება, გალიბერალება. მას მართლმადიდებელი საქართველო აინტერესებს და არა საინტიზმით, ბაპტიზმით, რეაქციული ისლამით გაჯერებული ქვეყანა.

გარდა ამისა, მას ჯერაც აინტერესებს საქართველოს ღვინო და მინერალური წყლები, ბოსტნეული და ხილი, სამომავლო პროდუქცია, რომელიც საქართველოს დღეს არ აქვს, მაგრამ ყაირათიანი, მიზანმიმართული მუშაობით ხვალ ექნება. რუსეთის, დსთ-ს ბაზარი უკიდეგანოა, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას, იმ ძველი პოზიციების დაბრუნებას, რომელმაც მას შორს გაუთქვა სახელი.



ასე რომ, უმჯობესია, ვიფიქროთ პრაგმატულად და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ქვეყნის, მისი ხალხის ინტერესები მოითხოვს და არა ისე, დღეს რომ ვიქცევით, სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

მოულოდნელი რაკურსი

**ახალი წლიდან მოყოლებული, ანუ მას მერე რაც „რეპორტიორთან“ თანამშრომლობას შევუდექი, ერთი უმნიშვნელო, მაგრამ მაინც არცთუ სასიამოვნო კანონზომიერება შევნიშნე. აღმოვაჩინე, რომ ჩემი წერილების ჭეშმარიტი მოტივატორი - პიროვნულად ჩემგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო – ხშირად რაღაც მკვლელობა და უბედურება ხდება. ასე იყო „შარლი ებდოს“ რედაქციის ამოხოცვის დროს იანვარში, ასე მოხდა მოგვიანებით – იური ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე აფეთქებისას, ასე მოხდა ამჟამადაც – მოსკოვის შუაგულში ხიდზე მოსეირნე ბორის ნემცოვის სასიკვდილოდ დაცხრილვასთან დაკავშირებით.**

**ფრიად არასასიამოვნო მარტიროლოგიაა, მაგრამ პუბლიცისტურ ბედს ხომ ვერსად გაექცევი კაცი!**

# ორიოდე სიტყვა „უფლისწული ბორისის“ მკვლელობის გამო

ბორის ელცინის მმართველობის ხანაში, ერთი პირობა ნემცოვს „უფლისწულ ბორისის“ მეტსახელიც კი მიაკერეს – იმდენად პერსპექტიულ პოლიტიკოსად მიიჩნევდნენ მას 90-იანების შუაწელში. მართლაც, პირველი თუ ბორის გოდუნოვი იყო და მეორე კიდევ – ბორის ელცინი, ახალ პოსტსაბჭოთა რუსეთში არც არავის გაუკვირდებოდა, მესამე „მძლავრი ბორისი“ ბორის ნემცოვი რომ აღმოჩენილიყო (დედის ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად). მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... მრავალი მიზეზის გამო ნემცოვის პოზიციები შესუსტდა, ელცინის ჯალაბის კარზე პუტინის აღმასვლის ფონზე მან დაკარგა სახელისუფლებო ბერკეტები და, თავის უეცარ სიკვდილამდე, რუსულ საზოგადოებას ერთი რიგითი და მუდმივი ლიბერალური ოპოზიციონერის ამპლუაში ევლინებოდა. გითხრათ მართალი, პირველი ანალოგია, რაც მის დემონსტრატიულ მკვლელობასთან დაკავშირებით თავში მომივიდა, ეს წინა საუკუნის პირველ ნახევარში, ფაშიზმისკენ სწრაფად მიმქროლ იტალიაში, 1924 წელს მომხდარი ერთი ფრიად გახმაურებული მკვლელობა გახლდათ. თუ გახსოვთ, ფილმიც გადიოდა ასეთი 70-იან წლებში – „მატეოტის მკვლელობა“. მაგრამ მერე, პირველმა პუბლიცისტურმა რეაქციამ რომ გადამიარა, მივხვდი, რომ ანალოგია სუსტია და მოიკოჭლებს. მუსოლინი იმ მკვლელობის დროს, მართალია, უკვე მონარქიული იტალიის პრემიერი იყო – ფაშისტურმა პარტიამ არჩევნების თავხედური გაყალბების გზით უმრავლესობა მოიპოვა პარლამენტში, – მაგრამ ამ პოსტის დაკავება მაშინ ჯერ კიდევ არ აძლევდა საშუალებას ყოფილ მგზნებარე სოციალისტს ყველა აუცილებელი საშუალება გამოეყენებინა გენეტიკურად მშფოთვარე და ანარქიულად განწყობილი იტალიელების მყისიერად მოთვინიერებისა და ქვეყანაში პირადი დიქტატურის რეჟიმის დასამყარებლად.



დეპუტატ მატეოტის საპარლამენტო გამოსვლები დიდ პრობლემას უქმნიდნენ ახალგამომცხვარ დუჩეს და, მუსოლინის აზრით, ესოდენ ძლიერი ოპოზიციონერი ასეთ გაურკვეველ ვითარებაში მართლაც ნებისმიერ ფასად მოსაშორებელი იყო.

ისტორიკოსებმა მოგვიანებით დაადგინეს, რომ, თუმცა ამგვარად „მოშორების“ პირდაპირი ბრძანება დუჩეს არ გაუცია, მაგრამ ვიწრო წრეში ის არ ერიდებოდა თავისი სურვილების დაუფარავად და ემოციური ფორმით გამოთქმას და... მოკლედ, ასიამოვნეს ლიდერს დაახლოებულმა პირებმა... სხვათა შორის, მაშინ, მკვლელობის ცხელ კვალზე შედგა გამოძიებაც და სასამართლო პროცესიც, საქმე – მიუხედავად „შავპერანგიანთა“ მზარდი გავლენისა – თითქმის გაიხსნა კიდეც და ფაშისტური პარტიის ზოგიერთმა ფუნქციონერმა ციხეშიც კი ამოყო თავი (მცირე ხნით). თვით მუსოლინის აღიარებით, რომში მაშინ რამდენიმე ენერგიული კაცი ერთ გუნდად რომ შეკრულიყო და ასეთ გუნდს ქვეყნის შიგნით და გარეთ მიზანმიმართულად ემოქმედა, სულაც გადაყვებოდა ამ სკანდალს მისი მთავრობა (სამწუხაროდ, ვერ შეიკრა). ერთი სიტყვით, მატეოტის მხრიდან მუსოლინი ხიფათს რეალურად ელოდა და გავლენიანი ოპოზიციონერის ფიზიკური არსებობა მისთვის სერიოზული პრობლემა გახლდათ.

ახლა კი ომისწინანდელ იტალიას შევეშვათ და ისევ დღევანდელ რუსეთში გადმოვინაცვლოთ. რა ასეთ პრობლემას წარმოადგენდა უბედური ნემცოვი პუტინისთვის და მისი მთავრობისთვის? არანაირს! მოსწონს ეს ვინმეს, თუ არ მოსწონს, მაგრამ არ გახლდათ ცოცხალი „უფლისწული ბორისი“ მიმდინარე რუსულ შიდა პოლიტიკაში სათანადოდ მაღალი რანგის ფიგურა. აი, გარდაცვლილი ნემცოვი კი - რა ვიცი, რა ვიცი... მაგრამ საყოველთაო რეაქციამ უკვე ყველაფერს გადააჭარბა. და მისი არსი ორი მკვახე სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: ტყუილები და თვალთმაქცობა.

მოკლედ, კაცი ჯერ არ გაციებულა, გამოძიება ახალი დაწყებულია და მკვლელობის ხუთი ვერსია მაინც არსებობს (აღარ ჩამოვყვები, დაინტერესებული პირები ადვილად მიაკვლევენ მათ სხვადასხვა საიტებზე), მაგრამ განა ამ მოსაზრებამ ოდნავ მაინც შეუშალა ხელი რუს „ლიბერალ-დემოკრატებს“, უკრაინელ მოფაშისტო ბანდეროველებს ან ქართველ „მიშისტებს“ (და არა მარტო „მიშისტებს“) სულ რაღაც ერთ დღეში გაეხსნათ საქმე და დაენიშნათ დამნაშავე – რუსეთის პრეზიდენტის სახით? არ შეუშალა და ვერც შეუშლის – თუმცა, ნემცოვის ხვედრი მათ ისევე აინტერესებთ, როგორც შარშანდელი თოვლი.

მე, მართალია, პუტინისა და მისი ოლიგარქიული რეჟიმის დამცველად და ქომაგად ვერ გამოვდგები, მაგრამ იმისი კი მწამს, რომ ბუნდოვან სიტუაციებში ადამიანები რაღაც ფორმალურ ლოგიკას მაინც უნდა მივყვეთ და გარკვეული პატივი ვცეთ ჭეშმარიტების ცნებას. **გარდა ამისა, მე არ მესმის (და ვერც ვერასდროს გავიგებ), რისთვის უნდა შეეწიროს (მორიგ ჯერზე) ქართველი ხალხი და ქართული მოაზროვნე საზოგადოება ჩვენი ნაციონალების სრულიად გამჭვირვალე ზრახვების აღსრულებას და კვლავაც გადაყვეს მათ მდაბიურ და არანაკლებ გამჭვირვალე „ოპოზიციურ“ ინტერესებს.**

საზოგადოდ, როგორც ოდითგანვეა ცნობილი, პოლიტიკური მკვლელობები იხსნება ჩადენის მომენტშივე. ხშირად კი უფრო ადრეც, ჩადენამდე... მკვლელი კი ინიშნება საკუთარი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებიდან და წამიერი კონიუნქტურული ინტერესებიდან გამომდინარე. სრულიად ზედმეტია რაიმე მოკვლევა, გამოძიება, მოწმეთა გამოკითხვა, დაკავებულთა დაკითხვა, მით უმეტეს არაა საჭირო მოვლენის ღრმად გაანალიზება, დედუქცია და შერლოკ ჰოლმსის მიერ მოგონილი სხვა ულირსი ფანდები. ვინც საკითხში ერკვევა, იმან ისედაც ყველაფერი იცის, ხოლო ვისაც რაღაც დამატებითი და მოკირკიტე კითხვები ებადება, ის გახლავთ სულელი, მტარვალი და კაცობრიობის მტერი. ეგ არახალია.

ცხადია, სულსწრაფი და „პატრიოტი“ ვაი-პოლიტიკანებისთვის არაფერს ნიშნავს ის ისტორიულად დადასტურებული გარემოება, რომ მსგავსი საქმეები ბოლომდე ზოგჯერ ათწლეულების მანძილზე ვერ იხსნება (კიროვის, კენედის, პალმეს, ჟვანიას და სხვათა მკვლელობები) და მარტო საქართველოს უახლეს ისტორიაში, 80-იანი წლებიდან მოყოლებული (პატარიძიდან კიწმარიშვილამდე), შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ათიოდე გაუხსნელი და საეჭვო საქმე მაინც.

ხოლო თუკი მსგავსი ხასიათის მკვლელობებს ვიღაც-ვიღაც პოლიტიკური ქორვაჭრები (ან მათზე მიტმასნილი და საქმეში ჩაუხედავი ჭორიკანები, რომელთა სახელი „ოხლოსია“) ერთ-ორ დღეში ხსნიან, დანარჩენ, ჯერ კიდევ ბოლომდე გაურყვნელ, საზოგადოებას, სრული უფლება აქვს ასეთი მიდგომა შიზოფრენიის სიმპტომად მიიჩნიოს და მისი მატარებლები შესაბამისადვე მონათლოს – აშკარა შემთხვევებში, ცხადია. და არ უნდა იყოს საქართველოში საშიში ამის ხმამაღლა თქმა!

ბოლო-ბოლო, მთავარი ხომ დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვაა! მათ შორის, აგრესიულად განწყობილი, ფსიქიურად არამდგრადი და უტიფარი პერსონებისგან.

მე კი, ვაკვირდები რა მიმდინარე მოვლენებს, ვხედავ – ან რა ძნელი დასანახი ეგაა – რომ ბორის ნემცოვის მკვლელობის გამოყენებას ჩვენი მშობლიური „ლიბერალ-დემოკრატი ნაციკოები“ საკუთარ ეგოისტურ ინტერესებში ცდილობენ. მაგათ რომ ჰკითხო, ოკუპანტზე წიხლი ყოველთვის ამაგია, ხოლო ლოგიკასთან და სიმართლესთან ეგენი ყოველთვის მწყრალად იყვნენ და იქნებიან: ერთ რამეს ნანობენ მხოლოდ – ცხრა წელი ჰქონდათ და ეგ როგორ მოუვიდათ, რომ ყველა თავისი მოწინააღმდეგე ბოლომდე ვერ „ჩარეცხეს“! თავად ბორის ნემცოვი და მისი ბედი (თუ უბედობა) იმთავითვე ფეხებზე ეკიდათ, ჰკიდიათ და ეკიდებათ, ეგ გასაგებია, მაგრამ აი იმ „ოცნებისტებს“ რა ვუყოთ, დღეს ნაცებს რომ ეჯიბრებიან პუტინისა და რუსეთის „გაშავების“ საქმეში? ამათაც ოღონდ პაწია დივიდენდები მოიპოვონ და... ისე კი ის აჯობებდა, გამოფხიზლების ჟამს დაუსვან საკუთარ თავს მარტივი კითხვა: მაინც, რაში აწყობდა ეს ამბავი პუტინს? თავის თავს უწყობს დესტაბილიზაციას და „მაიდანს“? მე კი „მეოცნებეთა“ ასეთ პოზიციასთან დაკავშირებით მხოლოდ პატარა სინანულის გამოხატვა შემიძლია – ეჰ, მაინც რამდენი ყოფილა საქართველოში 80-90-იანი წლების „დემოკრატიული“ პროპაგანდის უიღბლო მსხვერპლი...

**ისე კი, როდესაც ნებისმიერი პოლიტიკური მკვლელობის განხილვამდე მივა საქმე, კარგი იქნებოდა, ყველას ერთად გაგვეხსენებინა პოლიტიკის „ოქროს წესი“, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა დაადგინეს და რომელიც ასე ჟღერს: CUI PRODEST?, ანუ ეძიეთ: ვისთვისაა ესა თუ ის ქმედება ხელსაყრელი.**

მერწმუნეთ, კრიმინალური პოლიტოლოგიის დარგში მას მერე არავის ბევრი არაფერი გამოუგონებია.

**გოგი ლორთქიფანიძე,**

**reportior.ge**

# ბორის ნემცოვი ხიდზე არ მოუკლავთ?

**რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის მკვლელობის ადგილი საზოგადოებამ ყვავილებით შეამკო. მაგრამ მართლაც ხიდზე მოკლეს ნემცოვი?**

ოფიციალური ვერსიის თანახმად ნემცოვი თავის მეგობარ გოგოსთან ერთად სავაჭრო ცენტრის მხარეს ფეხით სეირნობდა. გადასასვლელ კიბესთან უცნობმა პირმა მაკაროვის ტიპის იარაღიდან ექვსჯერ ესროლა და ადგილიდან მიიმალა. მკვლელი თეთრი ფერის მანქანაში ჩაჯდა.

**მედიკოსების მიერ დადასტურებული ვერსიით ნემცოვი ჩაცხრილვიდან 2 წუთში გარდაიცვალა. მას ზურგიდან ესროლეს, ტყვიები მოხვდა თავში, გულში, ღვიძლში, ფილტვებსა და მუცელში.**

საზოგადოებისთვის ასევე ხელმისაწვდომია მკვლელობის ამსახველი ვიდეო, სადაც ადამიანების სილუეტების გარდა არაფერი ჩანს.

**23:31:12 წუთზე ნათლად ჩანს, რომ ნემცოვი ცოცხალია, მას და მის მეგობარს „თოვლსაწმენდი“ მანქანა ეწევა, რომელიც შემდგომ „ვაკუუმის მტვერსასრუტი“ აღმოჩნდა. ასევე გაუგებარია, რატომ სეირნობს ნემცოვი წვიმაში ქოლგის გარეშე.**

**23:31:16 წუთზე კი მკვლელი „თოვლსაწმენდი“ მანქანის უკნიდან ქუჩაზე გამორბის და თეთრი ფერის ავტომობილში ჯდება...**

თუ ამ ვერსიას დავუჯერებთ, **მკვლელს ოთხ წამზე ნაკლები დასჭირდა იმისათვის, რომ თავისი საქმე შეესრულებინა და სავარაუდოდ, კიბის ფარდულიდან გამოსულიყო.**

მაგრამ, არის ერთი – „მაგრამ!“ **მაკაროვის ტიპის იარაღი წუთში 30 -ჯერ ისვრის, ხოლო, მაკაროვიდან 6 ტყვიის გასროლას 12 წამი დასჭირდებოდა.**

**დავუშვათ, რომ ეს მონაცემები იარაღის მხოლოდ საპასპორტო მონაცემებია. მაგრამ, აბა სცადეთ საჩვენებელი თითის ექვსჯერ მოკეცვა და გაშლა ყოველგვარი წინალობის გარეშე. ამასაც კი ზედმეტი 2 წამი სჭირდება. გილზის გადასაგდებად საჭიროა 0.5 წამი, ამ დროს კი სასხლეტზე დაწოლა არ შეიძლება.**

**ბორის ნემცოვის გარდაცვალების შემდეგ გავრცელებულ ფოტოზე ჩანს, რომ პოლიტიკოსი ზურგზე წევს. ვივარაუდოთ, რომ 4 ტყვია მას მიყოლებით მოხვდა. მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი ჭრილობების შემდეგ ადამიანი კვლავ ფეხზე იდგეს და შემდეგ დაეცეს ზურგით? სავარაუდოდ, არა.**

**ფოტოზე სისხლის კვალი არ ჩანს და მედიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ჭრილობები ზურგზე ჰქონდა მიყენებული, მაგრამ სად არის სისხლის კვალი?**

**ხიდს საკმაოდ დიდი დახრა აქვს, ამიტომ, სისხლი უნდა დაგუბებულიყო ერთ ადგილას. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ოფიციალური ვერსიით ტყვიები გულში, ღვიძლში და თავში ჰქონდა.**

**ბორის ნემცოვი ხალხმრავალ ადგილას მოკლეს. გარდაცვალების ადგილიდან სულ მცირე 500 მეტრში ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ან სროლის ხმა მაინც უნდა გაეგოთ, მაგრამ არც მოწმე არსებობს და არც ხმა გაუგიათ.**

**დაუჯერებელია ისიც, რომ ნემცოვის მეგობარი ფოტომოდელი მშვიდად იდგა და გარდაცვლილს დაჰყურებდა. როგორც წესი ამ დროს მას ხალხისთვის უნდა მიემართა და დახმარება ეთხოვა. ის ხომ არ არის მედიცინის მუშაკი და სავარაუდოდ, არ უნდა სცოდნოდა, რომ ნემცოვი უკვე გარდაცვლილია.**

**დასკვნის სახით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ნემცოვი, რომელიც ჩაცხრილვის დროს სპარტანელივით ფეხზე იდგა, რკინის ნერვების მქონე ფოტომოდელი და „თოვლსაწმენდი“ მანქანის მძღოლი, რომელსაც თავის საქმეზე ეჩქარებოდა, ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან.**

**ეს ყველაფერი კი აიხსნება იმით, რომ ნემცოვი ხიდზე არ მოუკლავთ! იგი ცოტა ხნით ადრე მოკლეს, ხოლო დაჭრილს და წაქცეულს ზურგში კიდევ ესროდნენ. მხოლოდ ასე შეიძლება მაკაროვიდან ასეთი ტიპის ჭრილობების მიყენება.**

**„თოვლსაწმენდი“ მანქანა ხიდზე გვამის მისატანად იდეალური ხერხია. კამერების მიღმა ცხედრის ხიდზე დადებისთვის 4 წამი სრულიად საკმარისია.**

სპეციალურად „რეპორტიორისთვის“ თარგმნა თეონა რამაზაშვილმა..

## დედამიწის ზურგზე



**რუს სამხედროს, რომელსაც ბრალი ედება სომხური ოჯახის დახოცვაში, შერაცხადობაზე შეამოწმებენ**

**„ექსპერტიზა ეწყობა სტაციონარულად სომხეთში არსებულ რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზაზე და იგი უნდა დამთავრდეს დაახლოებით ორი კვირის შემდეგ“, – იტყობინება წყარო. მისი სიტყვებით, ექსპერტებმა შეფასება უნდა მისცენ სამხედრო მოსამსახურის ფსიქიკურ ჯანმრთელობას და გააკეთონ თავიანთი დიაგნოზი.**

* * *

**სროლა ოდესაში: ააფეთქეს „მემარჯვენე სექტორის“ ოფისი, აქტივისტები დაბლოკეს კაზინოს შენობაში**




**აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა, მეზობელ შენობებში ჩამოიმსხვრა მინები, დაზიანდა მახლობლად მყოფი ავტომობილები. მეორე ინციდენტი მოხდა აქტივისტების მცდელობის დროს, დაეხურათ უკანონო კაზინო: ისმოდა სროლის ხმები, შენობაში გაზი შეუშვეს. არიან დაზარალებულები.**

* * *

**უკრაინაში დონეცკის შახტში დაღუპული მაღაროელების გამო გამოცხადდა გლოვა**




**გლოვის დღეს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე 12 საათზე დაღუპულთა ხსოვნას აღნიშნავენ წუთიერი დუმილით. მთელ ქვეყანაში დაუშვებენ სახელმწიფო დროშებს. აფეთქებისა და ხანძრის შედეგად კილომეტრზე მეტი სიღრმით 30-ზე მეტი მეშახტე დაიღუპა.**

* * *

**საქმე არგენტინის პრეზიდენტის დე კირშნერის წინააღმდეგ შეიძლება განახლდეს, პროკურორს გადაწყვეტილება უდანაშაულობის შესახებ ნაჩქარევად მიაჩნია**

**პროკურორი პოლსიტა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოკლული კოლეგა შეცვალა, დაჟინებით მოითხოვს, გამოკვლეულ იქნეს დე კირშნერის როლი 1994 წლის ტერორისტული აქტის „ირანის კვალის“ დაფარვაში. მან ფედერალურ სასამართლოში შეიტანა საჩივარი 35 გვერდზე. მეზობელი ვენესუელის, ბოლივიისა და ეკვადორის ლიდერებმა მომხდარს გადატრიალების მცდელობა უწოდეს სასამართლო სისტემის გამოყენებით.**



№42. პარასკევი, 6 მარტი, 2015 წელი.

ღირს დაფიქრებად!

# სამი გადაწყვეტილება, რომელიც თქვენს ფინანსურ ცხოვრებას შეცვლის

**„ემოციები განსაზღვრავენ თქვენს ცხოვრებას. ისწავლეთ მათი მართვა გაცნობიერებულად და გონიერად". ტონი რობინსი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლაიფ-ტრენერია. ის მართლაც ლეგენდარული ფიგურაა. სხვადასხვა წლებში ტონი კონსულტაციებს უწევდა პლანეტის ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენებს და აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტთანაც კი მუშაობდა.**

**ცოტა ხნის წინათ ონლაინ-ჟურნალში Entrepreneur ტონი რობინსმა სტატია გამოაქვეყნა, სადაც მოგვითხრობს სამ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომელმაც შეიძლება თქვენი ცხოვრება შეცვალოს.**

„არაფერია იმაზე საშინელი, იყო მდიდარი და ქრონიკულად უბედური და ბოროტი ადამიანი. ამისთვის არ არსებობს არავითარი გამართლება. მიუხედავად ამისა, ყოველდღე ვხედავ წარმატებულ და მუდმივად მოწუწუნე, უკმაყოფილო ხალხს. ეს შედეგია არაბალანსირებული ცხოვრების, ზედმეტად მაღალი მოლოდინების და არანაირი სურვილის – გახარებდეს ის, რაც უკვე გაქვს. მადლიერების გარეშე თქვენ ვერასდროს იქნებით ცხოვრებით კმაყოფილი. რა ფასი ექნება ცხოვრებას, თუ თქვენს ცხოვრებაში არის სამსახური და უკმაყოფილება? ამ 40 წლის განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ადამიანებმა უნდა მიიღონ სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებიც განსაზღვრავენ მათი ცხოვრების ხარისხს. თუ თქვენ ღებულობთ მათ ქვეცნობიერად, მაშინ როგორც ადამიანების უმრავლესობა, თქვენ იქნებით უბედური – არ გექნებათ საჭირო ფიზიკური ფორმა, არასოდეს გეყოფათ ფული, პირად ცხოვრებაში კი სრული ქაოსი დაისადგურებს. ხოლო თუ თქვენ გააცნობიერებთ ამ გადაწყვეტილებებს, ეს ძირფესვიანად შეცვლის თქვენს ცხოვრებას დღეიდანაც კი.



**გადაწყვეტილება 1: საფუძვლიანად აირჩიეთ, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება.**

დროის ნებისმიერ მონაკვეთში მილიონობით ვიღაც ცდილობს თქვენი ყურადღების მიპყრობას. თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ყურადღების ფოკუსირება ამჟამად, აქ, ამ მომენტში ან იმაზე, თუ რა გინდათ მომავალში ან თქვენს წარსულზე.

თქვენი ყურადღების ფოკუსის მიმართვა ცვლის თქვენი ორგანიზმის ენერგიის მიმართულებას. ის, რასაც აქცევთ ყურადღებას, ქმნის თქვენი სამყაროს სურათს და შედეგად თქვენს ცხოვრებას.

რითია თქვენი ფიქრები დაკავებული – რა გაქვთ ამჟამად, თუ რა არ გყოფნით?

ფულის უკმარისობაზე მუდმივი წუწუნის ნაცვლად, ჯობს, მიიღოთ ის აზრი, რომ ბევრი კარგი რამ გაგაჩნიათ.

თქვენ შეგიძლიათ, იყოთ მადლიერი იმიტომ, რომ ხართ ჯანმრთელი, გყავთ ოჯახი, მეგობრები, გაქვთ გონება და შესაძლებლობები.

გამოიმუშავეთ ჩვევა, დააფასოთ ის, რაც უკვე გაქვთ. ეს დაგეხმარებათ, გახვიდეთ ემოციური კეთილდღეობის დონეზე.

აი, თქვენი ქცევის მეორე ნიმუში - თქვენ მეტ ყურადღებას უთმობთ იმას, რისი მართვაც შეგიძლიათ? თუ იმას, რაც თქვენს ძალებს აღემატება? – აქცენტის იმაზე გადატანით, რისი კონტროლირებაც არ შეგიძლიათ, სტრესი თქვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდება. უფრო ეფექტურია მიიღოთ სიტუაცია, რომ არსებობს ბევრი რამ, რისი მართვაც თქვენ არ შეგიძლიათ და შეეცადოთ, გააუმჯობესოთ ის, რაზეც მუშაობთ.

**გადაწყვეტილება 2:** გამოიკვლიეთ რას **ნიშნავს ყველაფერი ეს.**

თქვენი ფინანსური მდგომარეობა და ცხოვრების სხვადასხვა მოვლენები არ არის კავშირში იმასთან, თუ როგორ გრძნობთ თავს. ცხოვრების ხარისხი თქვენი მისდამი დამოკიდებულების შედეგია და არა იმის - რა გამოგდით და რა - არა.

შეიძლება ვერ აცნობიერებთ, რამდენად ძლიერად მოქმედებს ცხოვრებაზე თქვენი ქვეცნობიერი, დაფიქრდით, როგორ ღებულობთ სერიოზულ უსიამოვნებებს: საგზაო შემთხვევა, ავადმყოფობა, სამსახურის დაკარგვა? პირველი აზრი, რაც მოგდით – ეს დასასრულია თუ დასაწყისია?

ადამიანი, რომელიც დაკავებულია თქვენი კრიტიკით შეურაცხყოფას გაყენებთ თუ ზრუნავს თქვენზე?

ღმერთი გაძლევთ პრობლემებს თუ განსაცდელს, რომელიც გეხმარებათ, გახდეთ უკეთესი და უფრო ძლიერი? ძალიან ხშირად არ შეგიძლიათ, მოახდინოთ გავლენა იმაზე, რაც ხდება თქვენს ცხოვრებაში. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, გავლენა მოახდინოთ თქვენს დამოკიდებულებაზე მომხდარისადმი. ემოციები განსაზღვრავენ თქვენს ცხოვრებას. ისწავლეთ მათი მართვა გაცნობიერებულად და გონიერად.

**გადაწყვეტილება 3: რას გააკეთებთ?**

თქვენი ქმედებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ თქვენს ემოციურ მდგომარეობას.

დამეთანხმებით, რომ სიბრაზისას თქვენი ქმედება და ქცევა ბევრად განსხვავდება მშვიდ მდგომარეობაში თქვენი ქმედებებისგან. გააკეთეთ ყველაფერი, რომ გააფართოვოთ თქვენი უფლებები და შესაძლებლობები. ორი ადამიანი განსხვავებულად რეაგირებს ერთსა და იმავე რთულ და უსიამოვნო სიტუაციაზე. ერთი უკან იხევს, მეორე კი წინ მიიწევს. ერთისთვის აღშფოთება გაღიზიანებაა, მეორესთვის კი გაბრაზება. ერთი ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა დაივიწყოს წყენა, მეორე კი თავის ტვინს დაავადებს შურისძიებაზე ფიქრით. დაფიქრდით, როგორ იქცევით, როდესაც ნაწყენი, აღშფოთებული და გაბრაზებული ხართ ან თავს მარტოსულად გრძნობთ. დაფიქრდით ამ სამ საკითხზე – პასუხები განსაზღვრავს თქვენი ცხოვრების ხარისხს", – წერს ტონი რობინსი.

**მოამზადა**
**სანდრო გერლიანმა**

ავტოგაზარი



# ავტომობილების გაყიდვა მკვეთრად შემცირდა

**ავტოდილერები, რომლებიც მეორადი ავტომობილებით ვაჭრობენ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ**

**ქართულ ბაზარზე მოქმედი ავტოდილერები შემცირებულ გაყიდვებზე ალაპარაკდნენ. ანალოგიური მდგომარეობაა ავტოსერვისებშიც. მათი თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაყიდვები მკვეთრად შემცირდა. ავტომობილების განვადების გამარტივებული აქციების მიუხედავად, მომხმარებლების მიზიდვას მაინც ვერ ახერხებენ. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა მეორადი ავტომობილების ბაზრობაზე. გარდა იმისა, რომ ავტომანქანების ფასი შემცირდა, გაყიდვები აქაც მკვეთრად დაეცა. ექსპერტების თქმით, ამ ყველაფერმა ქართულ ეკონომიკას საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპერტების ვარაუდი გამართლდა, მეზობელი ქვეყნის მიერ დაწესებულმა შეზღუდვამ პრობლემა შეუქმნა იმ ადამიანებს, რომლებიც აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტს ახდენდნენ. თითქმის ერთი წელია, რაც აზერბაიჯანში მათ მოძველებული ავტომობილების შეყვანა აუკრძალეს. რეექსპორტისთვის გათვალისწინებული მანქანები 2005 წლიდან უნდა იყოს გამოშვებული, ან უფრო ახალი უნდა იყოს. არადა, წლების განმავლობაში აზერბაიჯანი საქართველოსთვის ავტომობილების ექსპორტის მხრივ მთავარი ბაზარი იყო. 2013 წელს საქართველოდან აზერბაიჯანში 703,9 მლნ აშშ დოლარის მსუბუქი ავტომობილი იყო ექსპორტირებული, საიდანაც ნახევარზე მეტი – დაახლოებით 380 მლნ დოლარი - აზერბაიჯანში ექსპორტზე მოდიოდა.

მოცულობაც შემცირდა. ჯეოსტატის მონაცემებით, 6,5 მილიონი დოლარით (24%-ით) იკლო მეზობელ ქვეყანაში რეექსპორტირებულ ავტომანქანათა ღირებულებამ და 20,4 მილიონი დოლარი შეადგინა. 2013 წლის იანვარში ექსპორტირებული იყო 26,86 მლნ დოლარის ღირებულების 2,96 ათასი ავტომობილი, 2014 წელს მეზობელ ქვეყანაში 2,38 ათასი მანქანის გაყვანა მოხდა.

ქართველ ავტოდილერებს ევროპის ქვეყნებიდან მეორადი ავტომანქანები შემოჰყავდათ, რომელსაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჰყიდდნენ. ექსპერტების თქმით, საქართველოსთვის მთავარი საექსპორტო ბაზარი ყაზახეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი იყო. ყაზახეთი 2011 წელს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდა და საბაჟო პროცედურების გამკაცრების გამო რუსულ ბაზარზე გადავიდა, აზერბაიჯანმა 2014 წლის 1 აპრილიდან 2005 წელზე ადრე წარმოებული ავტომობილების იმპორტი აკრძალა და დარჩა მხოლოდ სომხეთი, რომელსაც ამ ბაზარზე ისედაც მცირე წილი ეკავა – დაახლოებით 5 პროცენტი. ახლა უკვე 2005 წელზე ადრე წარმოებული ავტომანქანები ველარსად გადის და საქართველოში რჩება. შესაბამისად, ქართულ ბაზარზე მეორადი ავტომობილები გაიაფდა.

ავტოდილერი **გიორგი სეფაშვილი: „უკვე 10 წელია, რაც გერმანიიდან მეორადი ავტომანქანები ჩამომყავს და ვყიდი. თუმცა, რაც აზერბაიჯანმა 2005 წლამდე გამოშვებული მანქანების იმპორტი აკრძალა, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი. პრაქტიკულად, მანქანას ველარ ვყიდი. ჩვენთვის ძირითადი სწორედ ეს ქვეყანა იყო. ამას მოჰყვა ჩვენს ბაზარზე მანქანების გაიაფება, მოგება თითქმის აღარ მრჩება. ადრე ერთი გაყიდული მანქანიდან სულ მცირე 500-1000 დოლარის მოგება მრჩებოდა. ახლა ეს ბიზნესი იმდენად წამგებიანი გახდა, რომ ვფიქრობ, საერთოდ შევეშვა. არადა, ოჯახს ამ გზით ვარჩენდი. ოჯახში არავინ ვმუშაობთ და ერთადერთი შემოსავალი ეს იყო. ძალიან რთული სიტუაციაა. არ ვიცი, რა იქნება."**

რაც შეეხება თბილისში არსებულ ავტოცენტრებს, სახარბიელო მდგომარეობა არც მათ აქვთ. დოლარის კურსის აწევამ თავსატეხი გაუჩინა. გაყიდვები მკვეთრად შეუმცირდათ. როგორც „ტოიოტას ცენტრში" განაცხადეს, ბოლო ერთი თვეა, რაც გაყიდვები შემცირდა.

**„მანქანები დოლარში იყიდება. ამიტომ, დოლარის კურსის აწევის პარალელურად, მყიდველს შენაძენი გაუძვირდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე მომხმარებლები ავტომანქანის ყიდვისგან თავს იკავებენ. მართალია, კონკურენტი კომპანიები გამარტივებული აქციებით ცდილობენ მომხმარებლის მიზიდვას, თუმცა, ამ ეტაპზე ესეც არ ჭრის. რადგან გაძვირებულ ხარჯს ყველა ერიდება. იმედია, მდგომარეობა დასტაბილურდება. ამის იმედს გვაძლევს ბოლო დღეებში ბაზარზე დოლარის კურსის დაწევა," –** გვითხრა „ტოიტა ცენტრის" ოპერატორმა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **მიხეილ დუნდუა** აცხადებს, რომ რეექსპორტის ჩავარდნაზე გარკვეული გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის კრიზისმა. ასევე, ლარის დევალვაციამ. მისივე თქმით, 2014 წელს რეექსპორტი 2%-თ შემცირდა. რაც შეეხება ბაზარზე ავტომობილების გაიაფებას, ამ ფაქტს ექსპერტი რეექსპორტის შემცირებას უკავშირებს.

**„ავტომობილების ექსპორტის შემცირებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა 2014 წლის მთლიანი ექსპორტის შემცირებაში. 2014 წელს ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი 1 000 275 დოლარით გაიზარდა. 2013 წელს ეს რიცხვი 1 000 215 დოლარი იყო, ხოლო 2012 წელს 1 000 650 დოლარი. რეალურად, ექსპორტის კუთხით ჩავარდნა არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ავტომობილების რეექსპორტის ჩავარდნამ გავლენა იქონია ჩვენს მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაზე. ასევე, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა და ლარის დევალვაციამ. ბუნებრივია, გაყიდვების შემცირებამ ამ ადამიანების შემოსავალს დიდი დარტყმა მიაყენა, რაც ქართულ ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. ამ ადამიანებს ძალიან გაუჭირდებათ, სანამ სხვა რამეს მოჰკიდებენ ხელს და შემოსავალი გაუჩნდებათ, თუმცა, ამას ჩვენ ვერ დავარეგულირებთ. ახლა მთავარია, თანდათან გადავეწყოთ ისეთი პროდუქციის წარმოებაზე და ექსპორტზე, რომელიც ჩვენი იქნება და არა – სხვისი", –** აღნიშნა მიხეილ დუნდუამ.

**სალომე გოგოხია**

ალიან-ჩალიანი

# სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესრულებას რეფერენდუმი სჭირდება

**ახალი** სახის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება, ან არსებული გადასახადის განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. ამას საქართველოს კონსტიტუცია და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" ორგანული კანონი ითვალისწინებს. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.

ამასთან, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" ორგანულ კანონში ნათქვამია, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა, ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), იმპორტის გადასახადი და აქციზი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია იძლევა რეკომენდაციას, საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანოს, რომელიც გულისხმობს გარკვეული გადასახადების ზრდას და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას.

**ინტერპრესი**

**ხელბურთი**

# ადგილი — ოთხი, კონკურენტი — ექვსი

**წლეულს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს. რვა ტურის შემდეგ რეალურად გამოიკვეთა მედლებისთვის მებრძოლი ის ოთხეული, რომლებმაც მე-9 ტურში პოზიციები განიმტკიცეს.** ბოლო ორ ტურს ქუთაისმა უმასპინძლა. მეწინავეთა კვარტეტის წევრებმა იყოჩაღეს და გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვებები ჩაიწერეს. სტუ-ს გუნდი უდანაკარგოდ ლიდერობს. მე-9 ტურის შემდეგ უმაღლეს ლიგაში 17 მარტამდე შესვენება გამოცხადდა. რეგულარულის დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი. ამდენად, ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი მეხუთე-მეექვსე ადგილებზე მყოფ გუნდებსაც შერჩათ.

მე-9 ტურის შეხვედრათა შედეგები:

**ბათუმი - ქარიშხალა 42:22**

**ბათუმი:** ცერცვაძე, გრიშიკაშვილი — 9, სურმავა — 6, გოგალაძე — 5, ამირანაშვილი — 3, გამზარდია — 3, აბრამიშვილი — 3, ქავთარაძე — 3, რ. ჭანტურია — 3, ქარდავა — 2, ვინოგრადსკი — 2, ვარშანიძე — 2, ჯორბენაძე — 1, ბერძენიშვილი, გოგიჩაიშვილი.

**ქარიშხალა:** ხანდოლიშვილი, დ. მამულაშვილი, ბულბულაშვილი — 8, ლ. მამულაშვილი — 5, ბენდელიანი — 5, არსენაშვილი — 2, სხვიტარიძე — 1, შევჩენკო — 1, ფერაძე, კორაშვილი, დოლმაზაშვილი, ჭინჭარაძე, კვირკველია, ქურასბედიანი.

**იმედი - სამტრედია 18:45**

**იმედი:** ხარაიშვილი — 1, ლორია, ლილუაშვილი, ჰუსეინოვი — 5, რუსტამოვი — 3, ყორიაული — 2, მიქავა — 2, ჩიკვილაძე — 2, ზაალიშვილი — 1, ბაინაზიშვილი — 1, გოგუა — 1, ზ. იობაშვილი, თურქაძე, ბაზანოვი, გოზალოვი, მღებრიშვილი, მელაშვილი.

**სამტრედია:** სამყურაშვილი, ხონელიძე, ხაჟომია — 15, ნიკურაძე — 7, ზურაბიანი — 6, გ. კობახიძე — 5, თევზაძე — 4, გ. იობაშვილი — 2, წივწივაძე — 2, სიხარულიძე — 2, ი. ნარსია — 1, ღალანიძე — 1, ელგანდაშვილი, ანტონოვიჩი, გეგია.

**სტუ - ფოთი 36:23**

**სტუ:** ა. სამიტაშვილი, მღებრიშვილი, სტურუა — 9, ბეჟანიშვილი — 9, ი. სამიტაშვილი — 5, მაისაშვილი — 5, ჭელიძე — 3, ჩაკვეტაძე — 3, გოგოლაძე — 1, აბაშიძე — 1, გვაზავა, მ. კობახიძე, ოსიყმაშვილი.

**ფოთი:** გ. ჭანტურია, ზარგინავა, ბიბილეიშვილი — 8, მიქაძე — 7, ბაჯალაძე — 4, ჟვანია — 3, ხუნჯუა — 1, ალანია, ზარქუა, ნემსაია, ბერაია.

**ქუთაისი — პეგასი 30:20**

**ქუთაისი:** ანდრიაძე, კუპატაძე, კბილაშვილი — 15, მათნაძე - 5, ჩიხლაძე- 3, კვერნაძე — 3, უ. მაისურაძე — 3, ჯუღელი — 1, მერკვილაძე, ყაველაშვილი, ქუთათელაძე, უ. კობახიძე, მამასახლისი, ტუღუში.

**პეგასი:** ცინცაძე, დ. ნარსია, აბჟანდაძე — 6, კოხრეიძე — 4, გაწერელია — 3, ცხვარაშვილი — 2, ლეჟავა — 2, ზარნაძე — 2, ბაძაღუა — 1, გიორგაძე, დიხამინჯია, ნ. მაისურაძე, გელაშვილი, სახვაძე, პეტრიაშვილი.



**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 9 | 9 | 0 | 0 | 318:246 | 18 |
| ქუთაისი | 9 | 7 | 0 | 2 | 290:246 | 14 |
| სამტრედია | 9 | 6 | 1 | 2 | 321:252 | 13 |
| ბათუმი | 9 | 6 | 0 | 3 | 312:245 | 12 |
| პეგასი | 9 | 3 | 1 | 5 | 248:246 | 7 |
| ქარიშხალა | 9 | 3 | 0 | 6 | 260:297 | 6 |
| ფოთი | 9 | 0 | 1 | 8 | 255:358 | 1 |
| იმედი | 9 | 0 | 1 | 8 | 210:324 | 1 |

**მეათე-მეთერთმეტე ტურების მატჩებს 17-18 მარტს ბათუმი უმასპინძლებს.**

**1-3 აპრილს ეროვნული ჩემპიონატის XII, XIII და XIV ტურების შეხვედრები დედაქალაქშია დაგეგმილი.**

**V-VIII ადგილებისთვის: 7-9 მაისი, თბილისი, ოთხთა ფინალი: 15-16 მაისი, თბილისი.**

**ლექსო ცინცაძე**

**ჭადრაკი**

# სოჭში - ნოკაუტსისტემით




**პლანეტის 64 საუკეთესო მოჭადრაკე ქალი, ფიდეს გადაწყვეტილებით, 16 მარტიდან სოჭში შეიკრიბება, სადაც ისინი 7 აპრილამდე ნოკაუტსისტემით მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ.** ჯილდოების მაძიებელთა შორის არ იქნება ჩინელი მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი, რომელმაც ოფიციალურად თქვა უარი ტურნირში მონაწილეობაზე. შეჯიბრებაზე ვერ გაემგზავრება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ლიდერი ნანა ძაგნიძე, რომელიც მეორე შვილს ელოდება. საქართველოს სპორტულ ღირსებას ექვსი დიდოსტატი დაიცავს. ესენი არიან: ბელა ხოტენაშვილი (2513), ლელა ჯავახიშვილი (2481), სალომე მელია (2459), ნინო ხურციძე (2457), მერი არაბიძე (2374) და სოფიკო გურამიშვილი (2367). ისინი მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: ხურციძე — ეკატერინა კოვალევსკაიას (რუსეთი, 2438), მელია — სუკანდარ ხარიშმას (ინდონეზია, 2415), არაბიძე — ელიზაბეტ პეტცის (გერმანია, 2479), ხოტენაშვილი — კუბრა ოზთურქის (თურქეთი, 2284), ჯავახიშვილი კი გურამიშვილს შეხვდება.

ფინალამდე მეტოქეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. მათი ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულს ტაიბრეიკები გამოავლენს, გადამწყვეტ პაექრობაში ოქროს მაძიებელნი ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

**ლაშა დიდია**



**ტყვიის სროლა**

# გუნდურში ბრინჯაო ერგოთ

**ჰოლანდიურ არნემში დაიწყო ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი. პირველ დღეს ცეცხლის ხაზზე ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები გავიდა. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ცოტნე მაჭავარიანმა, აკაკი მოსულიშვილმა და ვლადიმერ მაიოროვმა 1706 ქულა მოაგროვეს და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ლატვიის ნაკრებმა, რომელმაც 2 ქულით გაუსწრო ჩვენებურებს, პირველი ადგილი დაიკავა. 1707 ქულით ვერცხლის მედალი რუსებს ერგოთ.**

ჩვენი ბიჭების ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან მათ არა აქვთ შინ სავარჯიშოდ ელემენტარული პირობები — არ გააჩნიათ ღია სასროლეთი, სათანადო ტირი, ელექტროფარები, თანამედროვე ინვენტარი, ვერ ატარებენ ტურნირებს, საწვრთნელი შეკრებებისთვის მეზობელ სომხეთში დადიან. ისიც აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ტყვიის სროლის ისტორიაში ეს გუნდურში მოპოვებული მეორე მედალია. პირველად ტალინში ევროპის ჩემპიონატზე ქალთა ნაკრებმა დაიმსახურა „ვერცხლი".

არნემში გოგონათა პირველობაზე ლიზი კილაძე და მარიამ მაღრაძე მოსინჯავენ ძალებს. უფროსებში ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლევან ქადაგიძე იბრძოლებენ მედლებისთვის.

**გივი გაგუა**

**მძლეოსნობა**



# ევროპაზე - ოთხი სპორტსმენით

**6-7 მარტს ჩეხეთში მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაში საქართველოს ოთხი წარმომადგენელი ჩაებმება.** სიგრძეზე ხტომაში ძალებს მოსინჯავენ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე მაიკო გოგოლაძე და ბაჩანა ხორავა, რომელმაც ამას წინათ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე დარბაზებისთვის ქვეყნის რეკორდი (7,94 მ) დაამყარა. სამხტომში ლაშა თორღვაიძე იასპარეზებს. სიმაღლეზე ხტომაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს წარმოშობით უკრაინელი ვალენტინა ლიაშჩენკო, რომელმაც შარშან ოქტომბერში მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს პირველობაზე იგი 184 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

**თამაზ პატარაია**

**ინტერნეტიდან**

# მეგობრობა სიშიშვლის თანხლებით

**ბრაზილიელმა ფოტომოდელმა და მსახიობმა ლაის რიბეირომ მორიგ თამამ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და მის ამ საქციელში უცნაური და სკანდალური არაფერი იქნებოდა რომ არა ერთი დეტალი: ლაისმა ეს ფოტოსესია ბრაზილიელ მწვრთნელს კარლოს დუნგას მიუძღვნა!**

როგორც ტანკენარი მოდელი განმარტავს, დუნგასთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და იყო დრო, როდესაც მათ შორის მცირეხნიანი რომანიც იყო გაბმული. ამჟამად მათ შორის მხოლოდ მეგობრობაა და ნიფხვისამარა ფოტოებიც მეგობრული ჟესტია და მეტი არაფერი.

ლაის რიბეირომ და კარლოს დუნგამ რა თქმა უნდა, არ იციან ცნობილი ქართული გამოთქმა: „ტრუსიკის მეგობარი", თორემ ამ უცნაურობას სულ მარტივად ახსნიდნენ. ჩვენ ვერ ვიმკითხავებთ, მაგრამ ასეთ ქალთან მეგობრობა ცოტა რთული ამბავი რომაა, ცხადია.



◎ კერძო ვერდიქტი

# სიკვდილი უნდა გადავდო!

**ნიკო პაპას ევროგრიპი დაემართა და მთელი ორი კვირა ლოგინი ალესვინა. მხოლოდ გუშინღა წამოდგა, თბილ ქურქში გამოეწყო და მონატრებული ძმაკაცების სანახავად ვაკის პარკისკენ მიმავალ ქუჩას ლასლასით გაუყვა.**

— ვაა, ნიკო, ცოცხალი ხარ? — შემოესივნენ აქეთ-იქიდან სტაჟიანი პენსიონერები,— რაღა დაგიმალოთ და ჩვენ უკვე შაზზე წასული გვეგონე.

— მივდიოდი კიდეც, ბიჭებო, მაგრამ უკანვე მოვბრუნდი.

— როგორ თუ მობრუნდი? — პირი დააღეს დამხვდურებმა.

— ასე, — თქვა მშვიდად ნიკომ, — ფული არ მეყო საიქიოში გასამგზავრებლად და მოვბრუნდი.

— არ გადაგვრიო კაცო, იქაც ფულს ითხოვენ?

— იქ არა, მაგრამ საიქიოს ლაზათიანად გამოწყობილი რომ ესტუმრო, ფული აქ უნდა დახარჯო.

— რას გულისხმობ?

— ვითომ არ იცოდეთ, აბა იანგარიშეთ, რა ჯდება ქელეხი, კუბო, სხვა ხარჯები?

— კუბო თორემ, შენც ახლა იტალიურში არ გაიჯგიმო, ფიჭვის ოთხი ფიცარი და შენი ჯანი!

— საქმეც მაგაშია, რომ დამკრძალავი ბიუროს მომსახურებაში ეგ ოთხი ფიცარიც არ შედის.

— აბა რა შედის?

— მხოლოდ საფლავის გათხრა, მიცვალებულის ჩასვენება და მიწის მიყრა.

— უკუბოოდ, კაცო? მუსლიმანი ხომ არა ხარ?

— კუბოს თავი გავანებოთ, მიცვალებულის საფლავამდე მისვენებაც არ არის გათვალისწინებული.

— აბა რა უნდა ქნას საწყალმა მკვდარმა?

— თურმე, უნდა წამოდგეს და საფლავამდე ფეხით მივიდეს!

— გასაგებია, — გამხიარულდნენ პენსიონერები, — სიარული დაგეზარა და უკან იმიტომ მობრუნდი?

— ეჰ, — ამოიოხრა ნიკომ, თქვენ იცინეთ და ამას წინათ უარესსაც შევესწარი.

— კარგი ერთი, მაგაზე უარესი რაღა უნდა იყოს?

— არ დაიჯერებთ, ამ ორი კვირის წინათ სასაფლაოზე მისვენებული ერთი ჩემი ნათესავი კინაღამ დაუმარხავი დაგვრჩა.

— იმანაც შენსავით სიკვდილი გადაიფიქრა?

— არა, თავად ხმა არ ამოუღია, მაგრამ საფლავი გაუთხრელი დაგვხვდა.

— ეგ როგორ? — პირი დააღეს ბერიკაცებმა.

— ადგილი, სადაც უნდა დაგვეკრძალა, გაყიდული აღმოჩნდა...

— ეგ ვინ გითხრათ?

— იმ სასაფლაოს მენეჯერმა, სადაც ცხედარი მივასვენეთ.

— ვაა, გაგონილა, — გაოცდნენ ძმაკაცები, — რა უნდა გექნათ, უკანვე ხომ არ წაასვენებდით?

— ეგეც ვიფიქრეთ, მაგრამ მოულოდნელად მიცვალებული აგვიფშლუკუნდა.

— საწყალი, — შეიცოდეს პენსიონერებმა, — გული რამ აუჩუყა?

— ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს თავი ძლივს დავაღწიე და ცოცხალი თავით უკან დამბრუნებელი აღარა ვარო.

— ეს რომ მოისმინა, იმ სასაფლაოს მენეჯერს ყურები არ აეწვა?

— ვინ აცალა, ჭირისუფალმა ბიჭებმა ისეთი ალიყური აჭამეს, იხვეწებოდა: ოღონდ თქვენ მკვდარს ნუ ჩამაყოლებთ და სამარეს ჩემი ხელით გავუთხრიო.

— კაცო, ბოლო-ბოლო, დამარხეთ თუ არა? — შემოეხვივნენ აქეთ-იქიდან.

— დავმარხეთ, მაგრამ დღის 3 საათის ნაცვლად საღამოს 7 საათზეღა ძლივს მივაბარეთ მიწას.

— ესე იგი, ქელეხი ჩაგეშალათ?

— ფაქტიურად ჩაგვეშალა, იმ დავიდარაბაში ხალხი სულ წავიდ-წამოვიდა და რაღაც 15-20 კაციღა შემორჩა ტაბლას.

— ჰოდა, ბიჭებო, ამის შემხედვარემ გადავწყვიტე, — გააგრძელა ნიკომ, — სიკვდილი დროებით გადავდო და დასამარხი ფული შევაგროვო.

— მაგრამ როდემდე? — დაინტერესდნენ ბერიკაცები, — თანაც ახლა, როცა სავალუტო კრიზისია?

— თუნდაც მანამდე, ვიდრე კრიზისი არ გაივლის და მთავრობა დაპირებულ პენსიას არ მოგვცემს.

— მასე, ჩემო ძმაო, შეიძლება, საერთოდ აღარც მოგვიწიოს გამგზავრებამ, — აზრი გამოთქვა ულვაშა პენსიონერმა, — მე რა მენაღვლება, მაგრამ მთავრობა ჩავარდება ცუდ დღეში. თუ არავინ მოკვდა, ბატონებო, ადგება და იმასაც აღარ მოგვცემს, რასაც იძლევა.

— აბა, რა უნდა ვქნა? — ყურები ჩამოყარა ნიკო პაპამ.

— რა უნდა ქნა, ჩემო ნიკო და... საქმეში ჩაერია ევროატლანტიკურად მოაზროვნე პენსიონერი გუბაზი, — უნდა მიდგე-მოდგე, ფული ნათესავ-მეგობრებს გამოართვა და ქელეხი მაინც წინასწარ გადაიხადო.

— როგორ კაცო, თუ არ მოვკვდი, ისე ქელეხს ვინ გადამიხდის? — შეცბუნდა ნიკო პაპა.

— შენ თვითონ გადაიხდი, მაგის უპირატესობა სწორედ ეგ არის, ქელეხის ხარჯს მაინც წინასწარ მოიცილებ და საიქიოს დამშვიდებული ესტუმრები.

— მერე ხალხი რას იტყვის?

— ხალხისთვის რა ბედენაა, პირიქით, საქებარ სიტყვებს, რაც მიცვალებულისთვის უნდა ეთქვათ, ცოცხლად მოისმენ და დიდად ნასიამოვნები დარჩები.

— ჰოო, — მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა ნიკოს.

— აბა რას გეუბნები, ეს იქნება არა მკვდარი, არამედ, ასე ვთქვათ, „ცოცხალი ქელეხი“, რომლის უშუალო მონაწილე და შემოქმედი თავადვე იქნები.

ვაკის პარკში გამართული იმ საჭოჭმანო საუბრის შემდეგ ნიკო პაპას აღარსად შევხვედრივარ. რაც შეეხება გუბაზს, ტე-



ლეფონით მელაპარაკა და პროთეზიანი კბილების კრაწუნით მაუწყა, რომ ნიკო ბოლოს და, ბოლოს, „ცოცხალ ქელეხზე“ დაითანხმა.

**ოტია ჩართოლანი**

---

## ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2014 წლის ანგარიში

**საქველმოქმედო ფონდი ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში.**

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში შესანიშნავი ღონისძიებები განახორციელა. 2014 წელს ფონდმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მოინახულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ბიჭების საფლავები, პატივი მიაგო მათ ხსოვნას და პანაშვიდი გადაუხადა მამა გიორგისთან ერთად, ამავდროულად, მათ სახელზე ფონდის წევრებმა დარგეს მარადმწვანე ხეები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ფონდმა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, მოინახულეს ოჯახებში ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გაჭირვებული ბავშვები, სადაც მათ წაუკითხეს ლექსები და ითამაშეს ერთად სხვადასხვა სახალისო თამაშები.

**ობოლ ბავშვთა დახმარების
ახალგაზრდული ფონდის დირექტორი
ლია პაპიაშვილი**

---

**ნუგზარ კახიშვილი, გია გვაზავა, ოთარ ჭითანავა, კოტე შენგელია, მურად ანჯაფარიძე, თემურ დანელია, გურამ კაკულია, გოგი ბერაძე, თემურ ჯანაშია, იოსებ ხარებავა, თემურ ჯიჯიაშვილი, კახა არდია, შოთა გვასალია, რუბენ გახარია თანაუგრძნობენ ზურაბ ჩიქოვანს უმძიმეს მწუხარებაში შვილიშვილის**

**ნიკოლოზის (ნიკუშას)**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე ირინა, შვილი ეკა, შვილიშვილი მარიამ თხინვალელი, და დოდო შანშიაშვილი, დისწულები ნესტან, ნინო ციციშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ჯემალ შანშიაშვილი**

**პანაშვიდი 6, 7 III 17 სთ. დაკრძალვა 8 III, 14 სთ. მისამართი: ზუბალაშვილების ქ. №27/9.**

**დალი ჩიკვილაძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის**

**ჯემალ შანშიაშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
# განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების X თავის შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსად) ასარჩევად სამეცნიერო განყოფილებების შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:**

1. აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში — სპეციალობა 0101 „აგრონომია, სპეციალიზაცია 010103 „აგროტექნოლოგია“ (სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით) — 1 ადგილი;
2. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში — სპეციალობა 0415 „აგროინჟინერია“, სპეციალიზაცია 041502 „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ — 1 ადგილი;
3. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში — სპეციალობა 0701 „ეკონომიკა“ — 1 ადგილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება, არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსობის) კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს (წევრებს), სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით; კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV, ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი), სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4X6).

აღნიშნული განცხადება და კანდიდატების მონაცემები (CV) განთავსებულ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www,gaas.dsl,ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. დოკუმენტაციის მიღება ხდება ზემოაღნიშნული განცხადების პრესაში ან აკადემიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102 ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20, 2 94-13-21, 2 96-03-00). საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

---

## განცხადება

**ს/ს „თბილხელსაწყო“ (ს/კოდი: 208143169) აცხადებს, რომ 2015 წლის 3 აპრილს 12 საათზე გაიმართება აქციონერთა მორიგი საერთო კრება მისამართზე: ქ. თბილისი მოსკოვის გამზ. №24ა.**

**დღის წესრიგი:**

1. დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის ანგარიში;
2. საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;
3. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებები მიიღონ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომლებიც წერილობით იქნება დაყენებული 2015 წლის 25 მარტამდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განხილული იქნება კრების მიერ. კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2015 წლის 4 მარტის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი ს/ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა.

**საზოგადოების დირექტორატი**

---

## გახსენება

# მიხეილ სიორდია



ძმაო მიხეილ, ჩვენო დიდიკო!

შვიდ ათეულ წელს გადაცილებულმა კაცმა წესიერად და პატიოსნად იცხოვრე და დღეს, როცა შენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა, სულ უფრო მეტს ვიხსენებთ შენს მიერ ვაჟკაცურად განვლილ გზაზე — აღმავლობისა თუ წარმატების წუთებს. სიყვარულისა და მეგობრობის მთესველი ადამიანი იყავი და მუდამ გეამაყებოდა, რომ შენმა ძვირფასმა მშობლებმა და რვა და-ძმამ ცხადად დაამტკიცეთ ბრძნული თქმა: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსაო“. შენი კეთილი გულით, შრომით და საოცარი პუნქტუალობით მოიპოვე ქვეყნისა და ერის წინაშე საერთო აღიარება და პატივისცემა. ტკბილი მამულიშვილური მოფერებაც გიხდებოდა ყველას მიმართ, მაგრამ განსაკუთრებით შენი ეკასა და შვილიშვილების, და-ძმების მიმართ. ახლა კი, როცა შენი ძვირფასი ოჯახი, სანათესაო თუ საძმო-სამეგობრო, შენი სამსახურის თანამშრომლები და მთელი საზოგადოებრიობა აღიქვამს ყოველივე ამას, ისღა დაგვრჩენია სიყვარულითა და რუდუნებით მოგიხსენიოთ აწ და მარადის, და სულმნათმა უფალმა მარადიულად გაანათლოს სული შენი... ამინ!

**შენი ყრმობის მეგობარი
ალეკო კაკულია**

---

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77;
568 82-09-84..

ასე მხოლოდ ებრაელები თუ იტყოდნენ!

# ბრძნული გამონათქვამი, რომელიც ბევრს გვასწავლის!

**ებრაელი ხალხის სიბრძნესა და კარგი იუმორის გრძნობის შესახებ ალბათ, ბევრი გაგიგიათ — ეს ხალხი, სხვა ყველაფერთან ერთად, ამითაც გამოირჩევა. გაეცანით ებრაელთა ბრძნულ გამონათქვამებს.**

1. თუ პრობლემის გადაჭრა ფულით შეიძლება, ეს არ არის პრობლემა — ეს ხარჯია.
2. ფულით ისე კარგი არ არის, როგორც მის გარეშეა ცუდი.
3. ადამი — პირველი იღბლიანია, რადგან არ ჰყავდა სიდედრი.
4. ულამაზო ქალი სარკესაც არ უყვარს.
5. ღმერთმა ადამიანს ორი ყური და ერთი პირი მისცა, რათა მეტი ისმინოს და ნაკლები ილაპარაკოს.



6. ღმერთმა დაგიფაროს ცუდი ქალებისგან, კარგებისგან კი თავად გადაირჩინე თავი.
7. ადამიანი თხრის ოქროს, ოქრო კი — ადამიანს.
8. სახლის აშენება ყვირილით რომ შეიძლებოდეს, ვირი საუკეთესო მშენებელი იქნებოდა.
9. შევიდა ღვინო — გამოვიდა საიდუმლო.
10. ღმერთს არ შეუძლია, რომ ერთდროულად ყველგან იყოს, ამიტომ მან შექმნა დედები.
11. ნუ იქნები ტკბილი, თორემ შეგჭამენ. ნუ იქნები ცხარე, თორემ გადმოგაფურთხებენ.
12. გეშინოდეს თხის წინიდან, ცხენის — უკნიდან და სულელის კი — ყველა მხრიდან.
13. სტუმარი და თევზი სამი დღის შემდეგ აქოთებას იწყებს.
14. ქალს შეიძლება ესროლო მხოლოდ ძვირფასი ქვები.
15. ცოდნა დიდ ადგილს არ იკავებს.
16. უმჯობესია ებრაელი წვერის გარეშე, ვიდრე წვერი — ებრაელის გარეშე.
17. ადამიანმა უნდა იცოცხლოს თუნდაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო.
18. ყრუმ გაიგონა, როგორ ჰყვებოდა მუნჯი, რომ ბრმამ თითქოს დაინახა, თუ რა სწრაფად გარბოდა კოჭლი.
19. ღმერთი იცავს ღარიბებს, სულ ცოტა, ძვირადღირებული ცოდვებისგან.
20. ქველმოქმედება არაფერი რომ არ ღირდეს, ყველა ფილანტროპი იქნებოდა.
21. როცა ბებერი ქალიშვილი თხოვდება, ის მაშინვე იქცევა ახალგაზრდა ცოლად.
22. მშობლები ასწავლიან შვილებს ლაპარაკს, შვილები ასწავლიან მშობლებს ჩუმად ყოფნას.
23. შორიდან არც ერთი ადამიანი არ არის ცუდი.
24. შეიძლება კვერცხი ქათმებზე ოდნავ ჭკვიანია, მაგრამ მალე ლაყდება.
25. მამაკაცები მეტს გააკეთებდნენ, ქალები ნაკლებს რომ ლაპარაკობდნენ.
26. კარგად დუმილი უფრო რთულია, ვიდრე ცუდად საუბარი.
27. ცუდი ცოლი წვიმაზე უარესია: წვიმას სახლში შეჰყავხარ, ცუდ ცოლს კი — გამოჰყავხარ...
28. სამყარო გაქრება არა იმის გამო, რომ მასში ბევრი ადამიანია, არამედ იმის გამო, რომ ბევრი არაადამიანია.
29. ღმერთო! დამეხმარე ფეხზე დადგომაში — დაცემა თავადაც შემიძლია.
30. თუ ცხოვრება უკეთესობისკენ არ იცვლება, მოიცადე — უარესობისკენ შეიცვლება.
31. რაც არ უნდა ტკბილი იყოს სიყვარული, მისგან კომპოტს ვერ გააკეთებ.
32. როცა არაფერი აქვთ საქმე, ადამიანები დიად საქმეებს ჰკიდებენ ხელს.
33. ორ ბოროტებას შორის პესიმისტი ორივეს აირჩევს.
34. ყველა წუწუნებს ფულის უქონლობის გამო, ჭკუის უქონლობის გამო კი — არავინ.
35. ვისაც ბავშვები არ ჰყავს, მათ კარგად ზრდის.
36. სჯობს, სიცილისგან მოკვდე, ვიდრე შიშისგან.
37. გამოცდილება — ეს არის სიტყვა, რომელსაც არქმევენ ადამიანები თავიანთ შეცდომებს.
38. ჭაღარა — სიბერის ნიშანია და არა სიბრძნის.
39. როცა ბერდება, ადამიანი უარესად ხედავს, მაგრამ — უფრო მეტს.
40. ქალი 30-ე დაბადების დღეზე 20 სანთელს ხელმომჭირნეობის გამო არ ანთებს.

მეციხოვნე-მამულიშვილის სიტყვამ მათქმევინა

## ფრთხილად, მსოფლიოვ, ფრთხილად!



**მემორიალის აფეთქების წინა საღამოს საზოგადოება „ქუთაისელის" დარბაზში, საპატიო მოქალაქეებთან შეხვედრისას, მე და პოეტმა ცირა შალაშვილმა კატეგორიულად გავაფრთხილეთ ჩვენთან სტუმრად მოსული ქალაქისა და გუბერნიის იმდროინდელი თავკაცები, რომ გენიალური ქართველი მოქანდაკის ხელთქმნილი ბიბლიის — „დიდების მემორიალის" დანგრევა უბედურებას დაატრიალებდა.**

ვაგლახ, რომ მორიელის მიერ სულდაგესლილებში ჩვენი უმკაცრესი გაფრთხილება დარჩა „ხმად მღაღადებლისად".

ეს შემთხვევა ბატონ მერაბ ბერძენიშვილის — ამ მართლაცდა მეციხოვნე-მამულიშვილის — იმ სიტყვამ შემახსენა, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის" 3 მარტის ნომერში, — წელიწადის მესამე თვის მესამე დღის მესამე გვერდზეა დასტამბული და სამარცხვინო ბოძზე სრულიად სამართლიანად აკრავს საქართველოს პარლამენტის იმ უღირს დელეგაციას, რომელიც „უცხოეთში ძებნილ ექსპრეზიდენტთან ერთად იჯდა და არავის აღმოაჩნდა იმის ნება და ღირსება, რომ ეთქვა: ჩვენი ქვეყანა ამ ადამიანს ეძებს როგორც დამნაშავეს, უხერხულად ვგრძნობ თავსო და დაეტოვებინა დარბაზი". ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, ზემოხსენებული სამწუხარო მოგონებითა და ლექსით გამოვხმაურებოდი ბატონ მერაბს. ეს მით უფრო მიმაჩნია საშურად, რომ ის მორიელი, რომელიც 21 დეკემბერსაა დაბადებული, როგორც ჩანს, გენერალსიმუსობაზე ოცნებობს და კიევში ამჯერად იმიტომ დაბორიალობს, რომ უკრაინასთან ერთად მოშხამოს დასავლეთი და აღმოსავლეთი, მესამე მსოფლიო ომი გააჩაღოს და ააფეთქოს მთელი კაცობრიობა...

ფრთხილად, მსოფლიოვ, ფრთხილად!

„ეროვნულის" არაეროვნულად ნათარგმნი სიტყვის — „ნაციონალის" ნიღაბაფარებული, ცოფიანი ნაცისტი გიჟი დღმდე თავისუფალია!




### მორიელები მემორიალთან

**რაკიღა დროზე ვერ გავსრისე მე მორიელი,**
**მომიბრუნდა და ამიფეთქა მემორიალი.**
**ნამსხვრევები შორს მიმოფანტა —**
**წრვილად დაშლილი**
**და შეიწირა უცოდველი დედა და შვილი...**
**დღეს უკრაინელს გეკითხები:**
**— ძმაო, რას შვრები?**
**ვინ შეიფარე, ნუთუ არვინ გყავდა დამშლელი?**
**მორიელი რომ ახლა შენთან შებორიალდა,**
**ფრთხილად! მტერია ჩვენი ძმობის მემორიალთა!**

**ალექსანდრე შენგელია,**
**ქ. ქუთაისიდან.**

ცინცხალი ანეკდოტები

**კი მაგრამ, თავის მოკვლა ვითომ რატომ გადაწყვიტე?**
**— ცხოვრება მომწყინდა.**
**— შენ გგონია თვითმკვლელობა კარგ ხასიათზე დაგაყენებს?**

* * *

**— მამი, მამი, ფული რა არის?**
**— ფული, შვილო, ესაა „მერსედესი", კონიაკი „ჰენესი" ნაშები...**
**— და როცა ფული არა გაქვს?**
**— როცა ფული არა გაქვს, შვილო, ესაა მეტრო, „ნაბელლავი" და დედაშენი.**

* * *

**— ადექი, გენაცვალე, ადექი, შენ ჩემს მარაოზე დაჯექი!**
**— მეც არა ვთქვი, ქვევიდან რეიზა მიბერავს-თქვა?!**

* * *

**რაა ქერტლი და მოხერხილი რქების ნახერხი!**

* * *



**ცოლი ტაქსს აჩერებს და მძღოლს ეკითხება:**
**— რამდენს გამომართევ?**
**— 100 დოლარს.**
**— და უქმროდ რამდენს აიღებ?**
**— 100 დოლარს.**
**ცოლი ქმარს უტრიალდება:**
**— ხომ გეუბნებოდი, კაპიკია შენი ფასი-მეთქი!..**

* * *

**სოფლის კლუბში როკ-ჯგუფის მუსიკოსები იჭაჭებიან, დინამიკებს ბოლომდე აქვს ხმა აწეული, სცენის წინ კი ვიღაც ტიპი დარბის წინ და უკან და გაჰკივის:**
**— მაგარია! სუპერია! გლიჯავს!**
**— ვინაა ეს გადარეული? — ეკითხება ერთი მაყურებელი მეორეს.**
**— ეგა, მგონი, მორბენალი სტრიქონი უნდა იყოს!**

* * *

**სპორტულ მაღაზიაში კაცი შედის, რომელიც პარაშუტს მოათრევს და გამყიდველს საყვედურობს:**
**— იცით, რომ თქვენი პარაშუტები ჰაერში არ იხსნება?**
**— არა, ბატონო! საიდან უნდა ვიცოდეთ ეგ ამბავი, როცა პირველი კაცი ხართ, ვინც ამგვარი პრეტენზიით მოგვმართავთ!**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24